ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი

საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

(დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო)

თბილისი
2006 წელი

წინამდებარე დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო განკუთვნილია ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულების სტუდენტებისათვის.

წიგნში გამოყენებულია ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის, მთიანეთის მსოფლიო ფორუმის, ევრომთიანეთის მასალები, მიმდინარე პერიოდისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ გამოცემული შესაბამისი ლიტერატურა, რიგი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მასალები რომლებიც გადამუშავდა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებში წინამდებარე დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო წარმოადგენს გასულ წელს გამოცემული ანალოგიური წიგნის გადამუშავებულ და შევსებულ (შესაძლებლობების ფარგლებში) ვარიანტს, თუმცა იგი დაზღვეული არ იქნება გარკვეული ნაკლოვანებებისაგან. ჩვენ კვლავაც სიამოვნებით მივიღებთ და ყურადღებით განვიხილავთ ყველა წინადადებას, რომელიც შეეხება მეთოდური მასალის შინაარსსა თუ ფორმას. წინასწარ გიხდით მადლობას.

მასალები შეკრიბა, გადაამუშავა და წინამდებარე სახით გამოსაცემად მოამზადა კობა არაბულმა – უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრის დირექტორი.

სარჩევი

დარგის მიზნებისა და ამოცანების განმარტება	4
–ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი:	4
–საქართველოს კანონმდებლობა ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის შესახებ	5
–საქართველოს კანონმდებლობა რეკრეაციული რესურსების შესახებ.	7
მთიანი ეკოსისტემების გადარჩენის გლობალური პრობლემები	8
–მთიანი ქვეყნების ძირითადი პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების საერთაშორისო შეფასებები	8
– მთიანეთის ცნების განმარტება (საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა)	11
ა) *პოლონეთი*	11
ბ) *საფრანგეთი*	11
ც) *შვეიცარია*	12
დ) *უკრაინა*	12
ე) *ბულგარეთი*	12
ფ) *საბერძნეთი*	12
გ) *საქართველო*	13
მთიანეთი და სახელმწიფო პოლიტიკა	14
– შვეიცარიის გამოცდილება	14
– ჰოლანდიიდ ინიციატივა	16
– გერმანიის გამოცდილება	16
– იაპონიის გამოცდილება	16
– კანადის გამოცდილება	17
– ალპების კონვენცია	19
– კარპატების დაცვისა მდგრადი განვითარების ჩარჩო კონვენცია	20
საქართველო, როგორც მთიანი ქვეყანა (მოკლე ანალიზი)	24
ტერიტორიის ფუნქციონალური დარაიონების პრინციპები	28
საქართველოს რეკრეაციული პოტენციალი	33
–რელიეფი	33
–ჰავა	35
–საკურორტო-კლიმატური დარაიონება	36
–საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა	37
–საკურორტო ზონები და რაიონები	41
–ჰიდრომინერალური რესურსები	45
–ჰიდრო რესურსები	47
–შავი ზღვა როგორც რეკრეაციული რესურსი	49
–სამკურნალო ტალახები	50
–გეოთერმული რესურსები	51
–ალპინიზმი და სპელეოლოგია	51
–ტყის საფარი	52
–ურბანული გარემო	53
–იტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა	54
გამოყენებული ლიტერატურა	57

I. დარგის მიზნებისა და ამოცანების განმარტება

I.1. ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი:

„რეკრეაცია“ ლათინური ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს აღდგენას (**recreatio**), დასვენებას. თუმცა მისი დღევანდელი მნიშვნელობა გაცილებით ფართოა და მოიცავს საზოგადოებისათვის ისეთ არსებით პროცესებს, როგორიცაა მისწრაფება – შეამციროს ადამიანზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

დღევანდელი საზოგადოება, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ავიდა ევოლუციური განვითარების ისეთ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დღევანდელ დონეს. სწორედ ამიტომაა, რომ ინფორმაციის კოლოსალური მასივი, მისი ინტენსივობა, სწრაფად ცვლადი ბგერითი და მხედველობითი გამაღიზიანებლები, ამისათვის მოუმზადებელი ადამიანის ორგანიზმის, პირველ რიგში კი, მისი ფსიქოემოციური სისტემის ნგრევას იწვევენ, რაც შემდგომ მრავალი სოციალური კატაკლიზმების საფუძველია.

XXI საუკუნის საზოგადოება გამოსავალის ძიებაშია. ამ ძიების ერთ-ერთი სერიოზული მონაპოვარი კი რეკრეაციაა (რეკრეაციული რესურსების მიზნობრივი გამოყენებაა).

რეკრეაცია კრებსითი ცნებაა და მოიცავს, შრომისაგან თავისუფალ დროს, გაჯანსაღებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს (სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა, ტურიზმი, ექსკურსიები და ა.შ.).

რეკრეაცია – ეს არის ადამიანის ძალის (ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური) გაფართოებული (სრულფასოვანი) აღდგენა. რიგი მკვლევარების მიერ რეკრეაცია განიხილება როგორც დროის პერიოდი, რომლის დროსაც ხდება ადამიანის საწარმოო ძალების აღდგენა, ან როგორც მოქმედება (საქმიანობა), რომელიც მიმართულია აღდგენისაკენ. ალტერნატიულ შეხედულებას წარმოადგენს მოდგომა, როდესაც რეკრეაცია განიხილება ყოველი მოქმედების, დროისა და ნებისმიერი ტერიტორიის ფუნქციად.

რეკრეაცია (recreation) 1. დასვენაბა, გართობა, რომელიც ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას ემსახურება. 2. დასვენების ინდუსტრიის ყველაზე მძლავრი სეგმენტი, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის აქტიურ დასვენებასთან სუფთა ჰაერზე (განსაკუთრებით, დასვენების დღეებში, ე.წ. უიკენდებზე). 3. ცივილიზებული დასვენება, რომელიც სხვადასხვა დაავადებების სტაციონარულ პირობებში მკურნალობით, საექსკურსიო-ტურისტული ღონისძიებებითა და ფიზიკური ვარჯიშებით არის უზრუნველყოფილი (მ. მეტრეველი, ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, 2006).

რეკრეაცია (ლათ. recreatio - აღდგენა) ადამიანის ცხოვრებისეული საქმიანობის პროცესში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა-განვითარებისათვის საჭირო დასვენების სხვადასხვა სახეობა. ეკონომიკურ გეოგრაფიაში – საქმიანობის სახეობები რასაც ხშირად ტურიზმსა და დასვენებას უწოდებენ (ი. გაბუნია, საქართველოს რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) რაიონები, 2005).

აშშ-ს ტურიზმის ეროვნული პოლიტიკის კვლევის ცენტრი სამ ძირითად ტერმინს – „მოგზაურობა“, „ტურიზმი“ და „რეკრეაცია“ შემდეგი სახით განმარტავს:

მოგზაურობა – მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის გადაადგილებასთან თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე თავისი ქვეყნის ფარგლებში, ჩასვლის ადგილზე ყოველგვარი ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე;

ტურიზმი – ტერმინის „მოგზაურობის“ სინონიმი;

რეკრეაცია – ადმიანის საქმიანობა, რომელიც დაკავებულია თავისუფალი დროის ორგანიზაციითა და მისი შედეგების პერსონალური სარგებლობით. რეკრეაცია შეიძლება მოიცავდეს თავის თავში ინდივიდუალურ და ჯგუფურ სპორტულ ღონისძიებებს, ინტელექტუალურ სრულყოფას, გართობას და ა.შ.

I.2. საქართველოს კანონმდებლობა ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის მიმართ დღეისათვის სრულყოფილებით არ გამოირჩევა, თუმცა ტერმინების გარკვეული კატეგორია შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ამ ტერმინებით სარგებლობა სავსებით შესაძლებელია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობიდან არის აღებული, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მიმართულებით. თუმცა, რიგი შეუსაბამობები, შემდგომ დამატებებში გასწორდა. კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, რაც იმის იმედს იძლევა, რომ მოკლე ხანში დარგს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა ექნება.

ტურიზმი – ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით.

სამკურნალო ტურიზმი – კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ტურისტული რესურსები – ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.

ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსები – მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალოდ ვარგისი კარსტული მღვიმეები, ზღვა, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოიყენება მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით.

საკურორტო ადგილი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი ექსპლუატაციისათვის და არ აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობანი.

კურორტი – საკურორტო ადგილი, რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტი.

კურორტზე არსებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტი – ობიექტი, სადაც დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება, მკურნალობა და რეაბილიტაცია ხორციელდება უპირატესად ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების (კლიმატი, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი და სხვა) საშუალებებით.

სანიტარიული დაცვის ზონა – საქართველოს კანომდებლობით განსაკუთრებით დაცული ტერიტორია, რომელიც საჭიროებს დაცვას ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ნაადრევი გამოლევის, გაფუჭებისა და დაბინძურებისაგან.

ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი (დარგის სუბიექტი) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ტურისტულ ან საკურორტო საქმიანობას.

საკურორტო საქმიანობა – ბუნებრივი სამკურნალო რესურსების, მათი სარგებლობისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და მოწყობილობების (ჭაბურღილი, ბიუვეტი, გალერეა, სააბაზანო, ტალახით სამკურნალო, პლაჟები, კლიმატური პავილიონი, აეროსოლარიუმი და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (სანატორიუმი, სასტუმრო, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, სპორტული და კულტურის ობიექტები და სხვა) გამოყენების ორგანიზება პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით.

ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია – ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტებისა და ობიექტების ერთობლიობა.

ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ლიცენზია – სპეციალური ნებართვა, რომელიც ასაბუთებს მისი მფლობელის უფლებას ეწეოდეს აღნიშნულ საქმიანობას.

შესაბამისობის სერთიფიკატი – დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს ტურისტული და საკურორტო მომსახურების ხარისხს და მის შესაბამისობას კონკრეტულ სტანდარტთან ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტთან.

რეკრეაციული მეურნეობა სანატორიუმებისა და დასასვენებელი დაწესებულებების ფუნქციური და სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ერთიანობაა. რამოდენიმე განმარტება ლიტერატურიდან (ი. გაბუნია, საქართველოს რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) რაიონები, 2005):

1. **რეკრეაციული რესურსები** – დასვენებისა და მკურნალობის საშუალება. რეკრეაციული რესურსები შეიძლება შეიძლება იყოს ბუნებრივი (საკურორტო-სამკურნალო: კლიმატი, მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახი, ზღვა, ტყე, გამოქვაბული) და ანთროპოგენური (ისტორიული ძეგლები, არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები და სხვა);

2. **რეკრეაციული სავარგული** – ტერიტორია, რომელზედაც კომპაქტურად წარმოდგენილია რეკრეაციული რესურსები. შეიძლება გამოიყოს საკურორტო-სამკურნალო და ტურისტული სავარგული. გეოგრაფიულად (სივრცობრივად)

ოფიციალური (სახელმწიფო) ვერსია

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ცურისტული და საკურორტო საქმიანობის დასაწყებად არანაირი სპეციალური ნებართვა (ლიცენზია, სერტიფიკატი) არ არის საჭირო – ლიცენზირების პროცესი ნებაყოფლობითია, ამასთან, მის მისაღებად არა ერთი დოკუმენტია წარსადგენი და გარკვეული თანხაა (500 ლარამდე) გადასახდელი. ეს გაკეთდა მცირე მიზნების განვითარების ხელისშეწყობის მოტივით! თქვენ რას ფიქრობთ?

კრიტიკული (ალტერნატიული) პოზიცია

საკურორტო-სამკურნალო (სანატორული მშენებლობისათვის) სავარგულები უფრო დეფიციტურია ტურისტულთან შედარებით;

3. **რეკრეაციული პოტენციალი** – განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზაციისათვის საჭირო ბუნებრივ, ისტორიულ-არქიტექტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ წინამძღვრებათა (ფაქტორთა) ერთობლიობა.

ცნება, რეკრეაციული პოტენციალი, იგივეა, რაც რეკრეაციული საქმიანობის განვითარების პირობები და ფაქტორები.

I.3. საქართველოს კანონმდებლობა რეკრეაციული რესურსების შესახებ.

აღნიშნული საკითხის სრულფასოვანი შესწავლის მიზნით იხილე საქართველოს კანონები (აღნიშნული ჩამონათვალი შეიძლება სრულად არ ჩაითვალოს, საქართველოს პარლამენტს უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში მიღებული აქვს სხვა არაერთი კანონი, რომლებიც თავისი შინაარსით ახლოს დგანან რეკრეაციული რესურსების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საკითხებთან. ინდივიდუალური დაინტერესების შემთხვევაში ამ კანონების ნახვა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, პარლამენტის ვებ-გვერდზე – WWW.parliament.ge; აქ წარმოდგენილი ძირითადი დოკუმენტების ჩამონათვალი აბსოლუტურად საკმარისია იმისათვის, რომ შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა როგორც სამართლებრივი სივრცის მდგომარეობის, ასევე ძირითადი პრობლემების შესახებ):

- საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ - 1997 წ.;
- საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ - 1998 წ.;
- საქართველოში ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ნებაყოფლობითი ლიცენზირების დებულება;
- საქართველოს კურორტების ნუსხა – 1998 წ.;

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *ზემოთ მოყვანილი ცნებით-ტერმინოლოგიური განმარტებების საფუძველზე რამდენად გასაგებია თქვენთვის იმ საგნის არსი, რომლის შესწავლასაც იწყებთ?* ----------

- საქართველოს საკურორტო ადგილების ნუსხა – 1998 წ.;
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ - .

II. მთიანი ეკოსისტემების გადარჩენის გლობალური პრობლემები

> ***მიზანი (ამოცანა)***
>
> ***გაეცანი*** *– მთიანი ეკოსისტემების საერთო მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივ მასალებს, ექსპერტების დასკვნებს;*
>
> ***განსაზღვრე*** *– საერთო პრობლემებიდან გამომდინარე ის სპეციფიკური პრობლემები, რომლებიც შეიძლება დაემუქროს კავკასიას – როგორც ერთიან ეკოსისტემას.*

ქვეყნის რეკრეაციული რესურსების კონკრეტულ განხილვამდე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მახასიათებელი, რომელიც ბევრად განაპირობებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გეოგრაფიული ტერიტორიის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურული ფენომენის ხასიათს, მისი აწმყოსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებს – ***მთიანობაა.*** თუ გამოვიყენებთ შვეიცარიელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ მეთოდიკას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის იმ 51 ქვეყანს შორის, რომელთა ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია (უმაღლესი კატეგორია).

II.1. მთიანი ქვეყნების ძირითადი პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების საერთაშორისო შეფასებები

ბოლო ათწლეულებში მთიანეთის პრობლემატიკა სულ უფრო აქტიურად მუშავდება უცხოეთის როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ნიშანდობლივია, რომ ამ მხრივ წინა პლანზე იწევს მთის არა მარტო ეკოლოგიური თუ რეკრეაციული ასპექტები, არამედ მთაში მობინადრე ადამიანის განზომილება – მეურნეობის გაძღოლა, ცხოვრების წესი, დეპოპულაციის შეჩერება და ა.შ., ანუ საკუთრივ მთიანეთის, როგორც უნიკალური ფუნქციურ-ტერიტორიული წარმონაქმნის მრავალფეროვანი პრობლემატიკა, რაც საბოლოო ჯამში მთიანეთის განსახლების სისტემის მდგრადობაში გამოიხატება.

მთიანეთის გადარჩენისა და განვითარების ამოცანა გლობალურ მასშტაბში პირველად დაისვა 1992 წელს, <u>დედამიწის სამიტზე</u> რიო დე ჟანეიროში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა მთის რეგიონების მდგრადი განვითარების ფილოსოფიას. სამიტზე მიღებული, დღეს საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტის – <u>„დღის წესრიგი 21-ე საუკუნისათვის“</u> – მეცამეტე თავი მთიანეთის მრავალფეროვან პრობლემატიკას მიეძღვნა.

მას შემდეგ, საერთაშორისო მასშტაბით ამ თემას ყურადღება არ მოჰკლებია – საზოგადოებრიობის გათვითცნობიერების, კანონმდებლობის შემუშავების, სექტორული განვითარების, ნაციონალური პოლიტიკების განხორციელების თავლსაზრისით. ამ მხრივ, მსოფლიო რანგის ღონისძიებებს შორის გამოირჩეოდა კონფერენცია **„საერთაშორისო თანამშრომლობა მთიან რეგიონებში მდგრადი განვითარებისათვის“,** რომლის მოსამზადებელი შეხვედრა შედგა ***კუნძულ ბალიზე*** (ინდონეზია) და რომელიც ამოქმედდა ***იოჰანესბურგის*** (სამხერთ აფრიკის რესპუბლიკა) <u>მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის</u> (2002 წ.) შემდეგ. მომდევნო მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ქ. ***ბიშკეკში*** ჩატარებული <u>მთიანეთის მსიოფლიო სამიტი</u> (2002 წ).

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოების მთავრობები სულ უფრო ერთსულოვნად იზიარებენ იმ აზრს, რომ <u>მთიანეთი თამაშობს საკვანძო როლს კაცობრიობის მდგრადი განვითარების პროცესში და მომავალში ამ როლის მნიშვნელობა გაიზრდება</u>. ბარის ურბანიზებული ზონების წყალმომარაგება და სანიტარია, საირიგაციო და სამელიორაციო სისტემები, სასურსათო უსაფრთხოება და სიღარიბის დაძლევა,

ტრანსსასაზღვრო უთიერთობები და, საბოლოოდ, სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნებსა და რეგიონებში დიდწილად დამოკიდებულია მთიანეთში მიმდინარე პროცესებზე.

განსაკუთრებულია მთიანეთის მნიშვნელობა გლობალური მასშტაბით ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანის შენარჩუნების თავლსაზრისით. მთიანეთის ეკოსისტემები ხასიათდება ფართე მრავალფეროვნებით – უწინარესად, ამას ხელს უწყობს ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების დიდი დიაპაზონი ზღვის დონიდან სიმაღლიდან გამომდინარე; მკვეთრად გამოხატული ენდემიზმი (ფლორისა და ფაუნის ადგილობრივი ჯიშებისა თუ სახეობების გავრცელება) და სხვა. ამიტომაც, გასაგებია, რომ მსოფლიოს ბიოსფერული რეზერვატების 45% სწორედ მთიანეთშია განთავსებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მთიანეთი დღემდე წარმოადგენს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს – იქნება ეს არქიტექტურის ძეგლები თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოდელები, ხალხური რეწვა თუ ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. ამიტომაა, რომ სწორედ მთიანეთი გვევლინება შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დაუშრეტელ წყაროდ.

მთიანეთის მდგრადობის ერთ-ერთი რესურსი მდგომარეობს ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მეურნეობის გაძღოლის ტრადიციებში, ტექნოლოგიებში, მიწათსარგებლობის ფორმებში, აგროტექნოლოგიების ნოუ-ჰაუში; ცხოველთა და მცენარეთა ენდემურ ჯიშებსა თუ სახეობებში. ესე მაგალითად, მთელი მსოფლიოს მთიანეთში გავრცელებულია ტრადიციული მიწათმოქმედება, რაც ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, ზვავებისა და მეწყერების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა. საქართველოში ნაკვეთების ტერასირების კულტურა ფართედ იყო გავრცელებული სვანეთში, ხევსურეთში, მესხეთში და ა.შ. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ცალკეულ, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებში ატმოსფერული ნალექებისაგან გამოწვეული დამანგრეველი მეწყერები, ღვარცოფები და წყალდიდობები ბევრგვარად არიან განპირობებული სწორედ ტრადიციული მეურნეობრივი კულტურის უგულვებელყოფითა და ბუნებისადმი უგუნური დამოკიდებულების გამო).

ყოველივე ამასთან ერთად, მთიანეთი თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოებისგან მოითხოვს დღენიადაგ ზრუნვას, შესაფერისი პოლიტიკის შემუშავებას და გატარებას. საზოგადოდ აღიარებულია, რომ ამგვარი პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *მთელი ქვეყნის მასშტაბით მთიანეთის თანაბარ პარტნიორად აღიარება;*
- *მთიანეთის განვითარების თავისებურების აღიარება;*
- *ქვეყნის სექტორული პოლიტიკების მისადაგება მთიანეთის თავისებურებებზე.*

აღნიშნული სამივე პარამეტრი უაღრესად მნიშვნელოვანია და სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადექვატურ დამოკიდებულებას (მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების პოლიტიკა ამის ნათელი დასტურია), თუმცა ჩვენთან ჯერჯერობით არაფერი მსგავსი არ კეთდება და ძალზე ხშირად სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგებს ვიმკით.

განსაკუთრებით არსებითია მთიანეთის განხილვა არა მარტო გეოგრაფიულ არეალად, არამედ იქ მობინადრე ადამიანების სასიცოცხლო სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოდ, ერთიანი საზოგადოებრივი

ცხოველქმედების მნიშვნელოვან ნაწილად. ამ გარემოს ფიზიკურ გამოხატულებად, ტერიტორიულ-სტრუქტურულ საფუძვლად წარმოგვიდგება ***მთიანეთის განსახლების სისტემა***, რომელიც ქვეყნის განსახლების ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია.

საერთაშორისო გამოკითხვის მონაცემების თანახმად (მაგ., ტულუზის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1997 წ.), რომელშიც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის 2-3 ორგანიზაცია საქართველოდანაც) მონაწილეობდნენ, გამოვლინდა, რომ (% გამოკითხულთა რაოდენობიდან):

ა) ***მთიან რეგიონებში უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს***

– ლანდშაფტების დაცვა-შენარჩუნებას – 60.4%

– ფლორა-ფაუნის გადარჩენას – 40.0%

– კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას – 38.4%

ბ) ***სასაზღვრო მდებარეობიდან გამომდინარე:***

– რეგიონების განვითარებისათვის აუცილებელია რეგიონთაშორისი და ეროვნებათშორისი კოოპერაცია – 70.6%

– არასაკმარისი სასაზღვრო კოოპერაცია ართულებს გარემოს დაცვის საკითხებს – 46.2%

– სასაზღვრო ურთიერთობები ყოველთვის არსებობდა ადგილებზე – 40.5%

ც) ***მსგავს რეგიონებში თანამედროვე მეურნეობის საფუძვლად რესპონდენტები მიიჩნევენ შემდეგ დარგებს:***

– ტურიზმი, კურორტები – 47.6% ძირითადად; 37.6% მთავარი;

– მეცხოველეობა – 39.1% ძირითადი; 42.2% მთავარი;

– ტყის დამუშავება – 29.5% ძირითადი; 46.8% მთავარი;

დ) ***საყურადღებოა, რომ რესპონდენტების აზრით ტურიზმი არის:***

– განვითარების ერთ-ერთი მიმართულება – 47.6%

– განვითარების ძირითადი მიმართულება – 40.5%

რომელიც ხელს უწყობს:

– ლანდშაფტებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას – 40.7%

ამასთან ერთად, არასწორი ორიენტაციის შემთხვევაში:

– იწვევს გარემოს დეგრადაციას – 44.4%

ე) ***შერჩეულია განვითარების ძირითადი მიმართულებები:***

– ეკოტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა – 62.3%

– ადგილობრივი ყოფისა და კულტურის გაცნობითი ხასიათის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა – 44.7%

– ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ მიღების სისტემის სრულყოფა – 37.9%

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. ცულუზის საერთაშორისო კონფერენციის მიერ შემოთავაზებული სქემის შესაბამისად, როგორ ჩამოაყალიბებდით საქართველოს მთიანი რეგიონების პრობლემატიკას? ----------

II.2. მთიანეთის ცნების განმარტება

(საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა)

ციურიხის კარტოგრაფიული ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, დედამიწის რელიეფური პორტრეტი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ხმელეთის თითქმის ნახევარი 500 მეტრზე მაღლაა ზღვის დონიდან, მათ შორის 27% - 1000 მეტრზე, 11% - 2000-ზე, 5% - 3000-ზე და 2% - 4000 მეტრზე მდებარეობს. მაშასადამე, მთიან ტერიტორიებს დედამიწის საკმაოდ დიდი ნაწილი ეკუთვნის. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის ზუსტად განსაზღვრას.

ერთ-ერთი საერთაშორისო კლასიფიკაციით, მთიანი რეგიონებისთვის დადგენილია 4 ზონა (კატეგორია); თითოეული მათგანი დგინდება:

- ზღვის დონიდან სიმაღლისა, და
- რელიეფის ვარდნით 300 მეტრით 5 კმ ორთოგონალურ პროექციაში.

ამ კლასიფიკაციის თანახმად, გაანალიზებულია მსოფლიოს 199 ქვეყანა, მათი ტერიტორიების მიმართ მთიანეთის შემდეგი წილების მიხედვით:

- 0-10%, 10-25%, 25-50%, 50-100%.

საქართველო შედის IV კატეგორიაში, სხვა 52 ქვეყანასთან ერთად, რომელთა შორის არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, საბერძნეთი, ირანი, იტალია, იაპონია, ყირგიზეთი, შვეიცარია და სხვა ყველაზე მთიანი ქვეყნები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარ ტერიტორიაზე თითქმის ყველა ქვეყანა მიმართავს მთიანობის ზონების დადგენის საკუთარ მეთოდოლოგიას და პროცედურებს.

პოლონეთში მთიან რეგიონებად ითვლება ზღვის დონიდან 350 მ-ზე მეტი სიმაღლის ტერიტორიები, 500 მ-ზე მაღლა მდებარე ზონების განსაკუთრებული გამოყოფით.

საფრანგეთში მთიანი ზონა მოიცავს კომუნების ტერიტორიას, რომელთა ფართობის არანაკლებ 80% განლაგებულია ზღვის დონიდან 600 მ-ზე მეტ სიმაღლეზე, ან რომლებშიც დასამუშავებელი მიწების ქვედა და ზედა საზღვარს შორის სიმაღლეთა სხვაობა არანაკლებ 400 მ-ს შეადგენს.

კომუნები, რომლებიც არ პასუხობს სიმაღლის ან სიმაღლეთა სხვაობის ზემოთმოყვანილ კრიტერიუმებს, <u>მაინც შეიძლება მიკუთვნებულ იქნას მთიანეთისათვის, თუკი მათი ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე კომუნების ეკონომიკასთან,</u> რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე მუხლში განსაზღვრულ პირობებს.

საფრანგეთში არსებობს მთიანი რეგიონების იურიდიულად გაფორმებული კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც კომუნები მიკუთვნებული არიან ამა თუ იმ კატეგორიას. ეს სია რეგულარულად გადის გადამოწმებას და ზუსტდება, საკანონმდებლო შესწორებებთან დამოკიდებულებაში. საფრანგეთის მთიან ზონაში გამოიყოფა:

- მაღალი მთები;
- მთები;
- ე.წ. „მშრალი მთები“.

საფრანგეთის კანონმდებლობას შემოაქვს ასევე „მასივის“ ცნება, რომელიც განსაზღვრულია, როგორც მთიანეთი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური სივრცე. დადგენილია მთიანი რეგიონების მდგომარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შეფასების ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებულია მართვისა და განვითარების მიზნებისათვის.

შვეიცარიაში მთიანი რეგიონებისთვის მიკუთვნების ძირითადი კრიტერიუმებია: ზღვის დონიდან სიმაღლე (> 600 მ-ზე), ფერდობების დახრილობა, კლიმატური პირობები (სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა), სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების მდგომარეობა, შიდასამეურნეო გზების არსებობა. ამა თუ იმ კომუნის მთიანეთისათვის მიკუთვნების გადაწყვეტილება გამოაქვს კომუნებისა და კანტონების წარმომადგენლებისაგან შემდგარ შერეულ კომისიას. მოგვიანებით ეს კრიტერიუმები შეივსო შემდეგი პარამეტრებით: მანძილი უახლოეს ბაზრამდე, რძის ჩაბარების პუნქტამდე, სკოლამდე.

უკრაინაში მთიანი დასახლების სტატუსს ადგენს კანონი „მთიანი დასახლებული პუნქტების შესახებ უკრაინაში“ (1995). ამ კანონის თანახმად, მთიანი დასახლების სტატუსის მქონე პუნქტისთვის მიკუთვნება ხდება იმ „დასახლებული პუნქტის, ან მისი ნაწილის, რომელშიც ცხოვრობს ამ პუნქტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ზღვის დონიდან 500 მეტრი და მეტი სიმაღლის მქონე ტერიტორიაზე განლაგება, რომელსაც ახასიათებს ძლიერ დანაწევრებული რელიეფი და მოცემული პუნქტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 60 და მეტი პროცენტის განლაგება 15 და მეტი გრადუსის დახრილობის მქონე ფერდობებზეა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,15 ჰა მიწაზე ნაკლები და მკაცრი კლიმატური პირობები – ცივი და ხანგრძლივი ზამთარი (საშუალო ხანგრძლივობა – არანაკლებ 155 დღისა, ცელსიუსით მინუს 4 გრადუსი საშუალო ტემპერატურით), გრილი და ხანმოკლე ზაფხული (საშუალო ხანგრძლივობა – არა უმეტეს ორი თვისა, საშუალო ტემპერატურა ცელსიუსით 20 გრადუსს არ აღემატება), ნალექების დიდი რაოდენობა (თხევადი და მყარი ნალექების საშუალო წლიური ჯამი არანაკლებ 60 მმ-ი), ახასიათებს ღვარცოფული მოვლენები, მეწყერები“.

ბულგარეთში მთიანი რეგიონების კრიტერიუმებს ადგენს მინისტრთა საბჭოს 1996 წლის გადაწყვეტილება; მათ შორის გამოიყოფა:

– სიმაღლე ზღვის დონიდან (600 მეტრი და მეტი);

– რელიეფის დახრილობა (ტოპოგრაფიული ინდექსი – რიცხვი, რომლითაც 1 კმ^2-ზე ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა მეტია 200 მეტრზე);

– რელიეფის ჩამორეცხვის სიმჭიდროვე (1 კმ^2-ზე მდინარეების ან ხევების კალაპოტების სიგრძე) და ა.შ.

ამასთან ერთად, მოქმედებს განსახლების სიმჭიდროვესთან დაკავშირებული საიდენტიფიკაციო სისტემები და მთიანეთის 3 ზონა:

– დაბალი მთიანი ზონა (600-1000 მეტრი ზღვის დონიდან);

– საშუალო მთიანი ზონა (1000-1500 მეტრი ზღვის დონიდან);

– მაღალმთიანი ზონა (1500 მეტრზე ზემოთ).

საბერძნეთი მთიანი რეგიონის განსაზღვრისას ეყრდნობა ევროკავშირის რეკომენდაციებს:

– დამუშავებული ტერიტორია ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზემოთაა;

– დამუშავებული ტერიტორიის სიმაღლე 600-დან 800 მეტრამდეა და ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 16%-ია;

– დამუშავებული ტერიტორია 600 მეტრზე დაბლაა, ხოლო ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 20%-ია; ან დამუშავებული მიწის 80% აკმაყოფილებს ამ სამი პირობის კომბინაციას.

საქართველო

ზემოთაღნიშნულის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მთიანეთის სამართლებრივ არეალს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (1999 წ., შემდგომი დამატებებით).

ამ შვიდმუხლიანი კანონის მე-4-ე და მე-5-ე მუხლები განმარტავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნებას:

„მუხლი 4.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის ცნებას.

ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი (ასეთი განმარტების რიგ გაუგებრობებთან ერთად, ვფიქრობთ, დაშვებულია სერიოზული პოლიტიკური შეცდომაც - სამხრეთ საქართველოსთან მიმართებაში).

მუხლი 5.

ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთზე და გუდამაყრის ხეობებზე, ფშავ-ხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება“.

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *რა (პრინციპების დონეზე) აერთიანებს ცალკეული ქვეყნების მიდგომას ქვეყნის ტერიტორიის მაღალმთიანობისადმი და რით განსხვავდებიან?* ----------
---

II.3. მთიანეთი და სახელმწიფო პოლიტიკა

მიზანი (ამოცანა)

გაეცანი *– მთიანი ქვეყნების ხელისუფლების დამოკიდებულებას ქვეყნის შესაბამისი ტერიტორიებისადმი და მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებს;*

განსაზღვრე *– საქართველოს მთიანი რეგიონების გადარჩენისა და შემდგომი აღორძინებისათვის მისაღები წინადადებები.*

თანამედროვე რეგიონული პოლიტიკისათვის დღეს საზოგადოდ დამახასიათებელია საერთო ეროვნული განვითარების პროგრამებში მთის რეგიონების პრობლემატიკის გამოყოფა.

მთიანეთის პრობლემატიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთ-ერთი სფერო. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა ხელისუფლება, როგორც წესი, ბარში იყო დაფუძნებული და, ამდენად, მთის რეგიონები ტერიტორიული და ფუნქციური თვალსაზრისით „პერიფერიის“ კატეგორიას განეკუთვნებოდა. აქ, ბართან შედარებით, გვიან შემოდიოდა თანამედროვე, ცივილიზაციური ინოვაციები – რელიგიის ახლებური ფორმები იქნებოდა ეს თუ თანამედროვე ტექნოლოგიები. ამდენად, ბარისა და მთის ურთიერთობა ყოველთვის წარმოადგენდა „ცენტრისა“ და „პერიფერიის“ ურთიერთობას – აქედან გამომდინარე ყველა სირთულით, წინააღმდეგობითა და არც თუ ისე იშვიათი დაპირისპირებით (მცირერიცხოვან გამონაკლისთა რიგს, ალბათ, მხოლოდ შვეიცარია შეიძლება მივაკუთვნოთ).

ასეა თუ ისე, ყველა ქვეყნის ე.წ. სტრუქტურულ პოლიტიკაში* მთიან რეგიონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ან ამგვარი ადგილი უნდა ეკავოს. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. ამიტომაც, ჩვენთვის საინტერესოა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიდგომები.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მთიანი რეგიონები ყველგან განეკუთვნება ეკონომიკურად დეპრესიულ ზონებს, სადაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური ეროზია.** ამ პრობლემების გააზრებისა და მოვლის ამოცანამ ფართემასშტაბიანი ხასიათი პირველად მიიღო ამერიკულ „მარშალის გეგმაში“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპისათვის.

II.3.ა. შვეიცარიის გამოცდილება

გასაგები მიზეზების გამო, შვეიცარია ის ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად და წარმატებით ხორციელდება მთიანეთის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა. თავდაპირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა გამოიხატებოდა მთიანეთის ფერმერებისა და მეტყევეებისათვის სუბსიდიების გამოყოფისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სახით. 1954 წლიდან, გარკვეულ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მთიანეთის სახლთმფლობელობები (გლეხური, ფერმერული კომლი) ღებულობენ სახელმწიფოსაგან დოტაციას, აგრეთვე სხვადასხვა სახის გაშუალებულ სუბსიდიებს (პენსიები გლეხებისათვის, ბავშვთა ინტერნატების შენახვა და ა.შ.). საქართველოს პრაქტიკისათვის დასაფიქრებელია, რომ, საინჟინრო-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, შვეიცარიაში ყურადღება ექცევა მთიანი სოფლების განმსხვილებას – sic!. აქვე გავიხსენოთ, რომ საბჭოეთის პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკა და

---

* სტრუქტურული პოლიტიკა – ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკური დონის ამაღლებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

** სოციალური ეროზია – ახალგაზრდა, მობილური, ქმედითუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია.

პროპაგანდა, პირიქით, მთიანეთის განსახლების სისტემის კონცენტრაციას, სოფლების გამსხვილებას ქადაგებდა.***

როგორც ჩანს, აქ მოსაძებნია ყოველი ქვეყნის პირობების შესაბამისი ოპტიმალური გადაწყვეტა. შვეიცარია შემდგომაც აგრძელებდა ლიდერობას მთიანეთის განვითარების სფეროში. აქ ძალისხმევა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

– სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა;

– სატრანსპორტო პოლიტიკა;

– შერჩევითი, მისამართიანი ფინანსირება;

– საგადასახადო შეღავათები.

მაგრამ, ყველა ამ ღონისძიებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. ამიტომაც, სპეციალისტებს დაევალა მთიანეთის განვითრების ფედერალური კონცეფციის შემუშავება. 1971 წელს ფედერალურმა საბჭომ მოისმინა კონცეფციის ავტორთა მოხსენება, ხოლო 1974 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი მთის რეგიონების საინვესტიციო ხელშეწყობის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე შემუშავებულია შვეიცარიის 50 რეგიონის (თემის) საერთოეკონომიკური განვითარების კონცეფციები. ამ პროგრამების დაფინანსების 21% მოდის წყალმომარაგება-კანალიზაციასა და ნარჩენების უტილიზაციაზე; 20,8% – საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, 17,2% – დასვენებასა და სპორტთან დაკავშირებულ პროექტებზე.

1975 წელს, მიღებულ იქნა კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა შეღავათიან სესხებს მცირე პროექტებისათვის; სესხები ორიენტირებული იყო მთიანეთის თემების განვითარებაზე. ამგვარი სესხების მიღების პირობას წარმოადგენდა მთიანეთის თემების თვითორგანიზება ე.წ. „განვითარების რეგიონებად“ და კონსენსუსის მიღწევა განვითარების პრიორიტეტების თაობაზე. სესხებს გასცემდა შვეიცარიის საინვესტიციო ფონდი (**IHG**).

1983 წლისთვის 1225 თემისაგან (მუნიციპალიტეტისაგან) შემდგარი 54 „განვითარების რეგიონი“ რეგისტრირებული იყო ფედერალური მთავრობის მიერ. **IHG** აგრეთვე გასცემდა მცირე ინსტიტუციურ გრანტებს სამუშაო ორგანოების – სამდივნოების შესაქმნელად. „განვითარების რეგიონების“ პირველ ამოცანას წარმოადგენდა განვითარების კომპლექსური გეგმის შემუშავება. ეს გეგმა განსაზღვრავდა კონკრეტულ პროექტებს და პროგრამებს, რომელიც დასაფინასებლად წარედგინებოდა **IHG**-ს.

1991 წლისთვის 3078 განვითარების პროექტი დაფინანსდა **IHG**-ს მიერ; დრამატული გარღვევა მთიანეთისა და ბარის ინფრასტრუქტურებს შორის შემცირდა. შედეგად, გამყარდა ქვეყნის მთიანეთის განსახლების სისტემა, 1970-1990 წლებში მთიანეთის მოსახლეობამ იმატა 10%-ით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამგვარი პოლიტიკის შედეგად თვითმმართველობის ცნობიერების ღრმა ტრადიციების განმტკიცება. შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, 1993 წელს შეიქმნა განვითარების რეგიონების სამდივნოების ორგანიზაცია.

*** მაგ. შემოთავზებული იყო სოფ. შატილის სოფსაბჭოში სულ 2 სოფლის დატოვება – შატილის ბაზაზე თავს იყრიდა 5 სოფლის მოსახლეობა (საკუთრივ შატილის, კისტანის, ლებაისკარის, ჯეჯეთის, გიორგიწმინდის); ხოლო სოფელ მუცოსჭალის ბაზაზე – 6 სოფლისა (ანდაქი, ხახაბო, არჭილო, არდოტი, ხონისჭალა, მუცო), იხ.: _ Fkeubidbkb P\ "rjyjvbxtcrbt ghj,ktvs pfcnhjqrb c/k b hfwbjyfkmyjt bcgjkmpjdfybt ptvkb d Uhepbb\ N,bkbcb= Cf,xjnf Cfrfhndtkj”= 1980\

II.3.ბ. ჰოლანდიის ინიციატივა

1970-იან წლებიდან მთიანი რეგიონების პრობლემატიკა საკადრის ადგილს პოულობს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის საქმიანობაში. საინტერესოა, რომ ამ პოლიტიკის ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ყველაზე ვაკე ქვეყნის – ჰოლანდიის ინიციატივა; ამ ინიციატივაში ჩამოყალიბებული იყო მთიანეთის ფერმერების ფართე ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებში. მეორე წელსვე (1974) იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი რეგიონების ფერმერებმა დაიწყეს სუბსიდიების მიღება ევროპული აგრარული ფონდიდან.

II.3.გ. გერმანიის გამოცდილება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიუნჰენის ალპურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა „ადრეული შეტყობინების სისტემა“, რომელიც ძირითადად ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგსა და წინმსწრები ღონისძიებების დაგეგმვას გულისხმობდა. ამ კვლევებმა მოიცვა 1100 კმ^2 ინსბრუკიდან (ავსტრია) ვიდრე პენცბერგამდე (ბავარია) და შეადგინა ერთ-ერთი, დასავლეთ ევროპის მთიანეთის 9 მოდელური რეგიონიდან.

თანდათანობით, მთიანეთის თემატიკის დაწინაურების პროცესში, გლეხური მეურნეობების შენარჩუნების პრობლემამ ადგილი დაუთმო კულტურული ლანდშაფტის დაცვის პრობლემას და აგრარული პოლიტიკის სფეროდან რეგიონული (რაიონული) დაგეგმარების, ურბანისტიკის, განსახლების სფეროში გადაინაცვლა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორს, აქ ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივი დახვეწის პროცესშია. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის გაუმართლებელი ინტენსიფიკაციის აღკვეთის მიზნით, განვითრებულ ქვეყნებში სუბსიდიას დაექვემდებარა არა პროდუქცია, არამედ მიწის კონკრეტული ნაკვეთები.

II.3.დ. იაპონიის გამოცდილება

მაღალტექნოლოგიური წარმოების მსოფლიო ლიდერის როლთან ერთად, იაპონია გამოირჩევა მთიანი რეგიონების მიმართ თავისი გონივრული, მიზანდასახული და შედეგიანი პოლიტიკით.

1965 წელს, მთიანეთის დეპოპულაციის პრობლემით შეწუხებულმა მთავრობამ დაამტკიცა მთიანეთის განვითარების აქტი. ამ ნორმატიული აქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო მთიანეთსა და ბარს შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების ხაზგასმა.

ამ აქტის მიზნებს შორის გამოსაყოფია:

- მთიანეთის სოფლებს შორის, აგრეთვე მთიანეთისა და ბარს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება – საგზაო-სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მეშვეობით;
- მთიანეთის მიწის, ტყისა და წყლის რესურსების ეფექტური ექსპლუატაცია – გზების მშენებლობის, ელექტროენერგიის გამომუშავების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მელიორირების უზრუნველყოფით;
- ადგილობრივი წარმოების განვითარება და შრომითი დასაქმების გაუმჯობესება ისეთი ღონისძიებების გზით, როგორიცაა სატყეო და ფერმერული მეურნეობის თანამედროვე მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, არასასოფლო-სამეურნეო და ხის პირველადი გადამუშავების წარმოებების შექმნა, ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი, უნიკალური, ბუნებრივი პროდუქციის ბაზრის კულტივირება;

– ბუნებრივი რისკების კონტროლი და პრევენცია (ნიადაგის ეროზია, მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები) ტყეების დაცვისა და საინჟინრო ნაგებობების მეშვეობით;

– სოციალური ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის გაუმჯობესება – სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, კულტურული ცენტრების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ამგვარი ინტეგრირებული მიდგომა ხორციელდებოდა სექტორული პროგრამების მეშვეობით – კანონის მოთხოვნების თანახმად, იაპონიის 12-მა სამინისტრომ თუ სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა და დანერგა მთიანეთის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, სპეციფიკური პოლიტიკა და პროგრამები.

მთიანეთის მდგრადობის იდეოლოგია ასევე აისახა იაპონიის სხვა საკანონმდებლო აქტებში; ისეთებში, როგორიცაა: „ბუნების დაცვის კანონი“, კანონი „ნაციონალური პარკების შესახებ“, „ტყის კანონი“, კანონი „კულტურული საკუთრებისა და დაცვის შესახებ“. აღიარებულია, რომ მთიანეთის დაცვის საქმეში გადამწყვეტია პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებათა მჭიდროდ კოორდინირებული საქმიანობა.

II.3.ე. კანადის გამოცდილება

კანადის დასავლეთით ალბერტას პროვინციაში მდებარე კლდოვანი მთების (**Rocky Mountains**) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და იმართება სახელმწიფო სააგენტოების მიერ.

რამდენიმე ათწლეულის წინ ალბერტას პროვინციის მთავრობამ დაამტკიცა რესურსების ინტეგრირებული მართვის (**IRMS**) სტრატეგია, კლდოვანი მთების აღმოსავლეთის კალთების მდგრადი განვითარების მიზნით. ეს ზონა მოიცავს 90 000 კმ^2 მთებსა და ტყიან მთისძირებს. განვითარებულია სატყეო მეურნეობა, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ტურიზმი, რეკრეაცია; აქვეა მრავალი მდინარის სათავეები.

იმის გამო, რომ ტერიტორია იმართება საზოგადოებრივი სექტორის მიერ, პრიორიტეტულია სწორედ საზოგადოებრივი ინტერესები და მიზნები. ამ მიზნების მისაღწევად **IRMS**-მა ჩამოაყალიბა ინტეგრირებული რესურსების გეგმები (**IRPs**).

ამ გეგმების ძირითადი მიმართულებაა მოწყვლადი ტერიტორიების გამოვლენა, დელიმიტაცია და მათი გამორიცხვა სამრეწველო თუ კომერციული საქმიანობებისაგან. **IRP**-ს შემუშავების პროცედურა წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს დაინტერესებული მხარეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის თვალსაზრისით.

IRMS გადაიქცა კანადის სხვა პროვინციაში რეგიონული დაგეგმვის მოდელად; იგი მიმართული იყო:

– მთიანეთის პრობლემატიკის რეგიონული ხედვის განსამტკიცებლად – შესაბამისი მიზნებისა და ინდიკატორების ჩათვლით; და

– რეგიონის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენისაკენ.

სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო სიმულაციური მოდელირება ეკონომიკური და ეკოლოგიური კუმულატიური შედეგების გამოსავლენად, განვითარების სხვადასხვა სცენარების მიხედვით.

შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, 1999 წელს მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტი – ალბერტას ვალდებულებები მდგრად რესურსებსა და გარემოსდაცვით მენეჯმენტში. წინა დოკუმენტთან შედარებით, ეს აქტი აფართოებს მდგრადი განვითარების ფილოსოფიას – როგორც შინარსობრივ-ფუნქციური, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით.

2000 წელს, ალბერტას პროვინციის მთავრობამ წამოიწყო ახალი პროექტი – ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთების მდგრადი რესურსებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტრატეგია; სტრატეგია ფარავს 40 000 კმ^2 ტერიტორიას და წარმოადგენს პროტოტიპს ანალოგიური სტრატეგიებისათვის მთელს კანადაში.

რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის (1992 წ.) შემდე განვლილი ორი ათწლეულის მანძილზე, მრავალი ქვეყნის გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ ნაციონალურ მთავრობებს მთიანეთის მდგრადი განვითარების მიზნით:

- მთიანეთის აღიარება ნაციონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტად;
- მთიანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ „დღის წესრიგში“;
- კომპენსაციის სისტემის დანერგვა მთიანეთის მხრიდან ბარის ზონისთვის მიწოდებული რესურსებისა და მომსახურეობისათვის;
- მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- სოციალური და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სექტორული პოლიტიკის ადაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან;
- ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად;
- ცვლილებები ადგილობრივი კულტურული თავისებურებების დაკარგვის გარეშე;
- მთიანეთის ეკოსისტემების კონსერვაცია და ადრეული გაფრთხილების ფუნქციის შენარჩუნება;
- მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია;
- განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების (სქემების) წინმსწრები შემუშავება.

ამასთან ერთად, აღიარებულია, რომ არ არსებობს მთიანეთის მგდრადი განვითარების უნივერსალური, ერთიანი თარგი; ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს თავისი საკუთარი პოლიტიკა მთიანეთის მიმართ.

II.3.ვ. „ალპების დაცვის კონვენცია (ალპების კონვენცია)“ (1991)

დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის 6 მთიანი ქვეყნის მიერ მიღებულ თანამშრომლობის პრინციპებსა და პროგრამას, რომლის შექმნის ინიციატორები შვეიცარია და ავსტრია იყვნენ. მართალია, საქართველო არ არის, და, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვერც იქნება, ***ალპების კონვენციის*** მონაწილე, მაგრამ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა სცილდება ალპების რეგიონის ფარგლებს; იგი დიდწილად განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოებრივი ცნობიერების და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ორიენტაციას მთიანი რეგიონების მიმართ, რამაც შემდგომ სხვა ანალოგიური დოკუმენტების შექმნაც განაპირობა.

<u>კონვენცია გამოყოფს მონაწილეთა თანამშრომლობის 12 სფეროს:</u>

1. ***მოსახლეობა და კულტურა.*** მიზანია პატივი მიეგოს, შენარჩუნდეს და ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ დამოუკიდებლობას; უზრუნველყოფილ იქნას მათი საცხოვრებელი სტანდარტები, კერძოდ კი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დასახლებების მდებარეობა, აგრეთვე მათი ეკონომიკური განვითარება და სტიმული მიეცეს მთიანი რეგიონებისა და ბარის მოსახლეობას შორის თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას.

2. ***რაიონული დაგეგმარება.*** მიზანია მიწის ეკონომიკური და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, მთელი რეგიონის მყარი და ჰარმონიული განვითარება; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სტიქიური რისკების ფაქტორს, რესურსების ამოქმედებასა და თავი აერიდოს ზედმეტ ანთროპოგენულ დატვირთვებს; აგრეთვე, განხორციელდეს ბუნებრივი საცხოვრისის კონსერვაცია და რეაბილიტაცია; მიწათსარგებლობის მოთხოვნების წინდახედული ინტეგრალური დაგეგმარებისა და ქმედებათა კოორდინაცია.

3. ***ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება.*** მიზანია ყველანაირად შემცირდეს მავნე ნივთიერებების ჰაერში გაბნევა, აღმოფხვრილ იქნას ჰაერის დაბინძურების პრობლემა მთიან რეგიონებში. ასევე შემცირებულ იქნას მავნე ნივთიერებების შემოჭრა რეგიონის ფარგლებს გარედან და დაყვანილ იქნას იმ დონემდე, რომელიც საშიში არ იქნება ადმიანების, ცხოველებისა და მცენარეთა სამყაროსათვის.

4. ***ნიადაგის შენარჩუნება.*** მიზანია შემცირებულ იქნას ნიადაგის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაზიანება, რაც შესაძლებელი იქნება სოფლისა და სატყეო მეურნეობის ისეთი მეთოდების დამკვიდრებით, რომლებიც ზიანს არ მოუტანს ნიადაგს; ეს კი, თავის მხრივ, უნდა განხორციელდეს ნიადაგზე მინიმალური ზემოქმედებით. საჭიროა მიწის ეროზიაზე კონტროლის დაწესება.

5. ***წყლის რესურსების მართვა.*** მიზანია შევინარჩუნოთ ან აღვადგინოთ წყლის ჯანმრთელი სისტემა, რაც შესაძლებელია ტბებისა და მდინარეების დაბინძურებისაგან დაცვის მეშვეობით. კერძოდ, ბუნებრივი ჰიდრავლიკური საინჟინრო ტექნიკისა და წყლის ენერგიის გამოყენებით, რაც შედის როგორც ადგილობრივი თემის, ასევე გარემოს დაცვის ინტერესებში.

6. ***ბუნებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა.*** მიზანია ბუნებრივი გარემოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა-შენარჩუნება,

ხოლო, სადაც საჭიროება მოითხოვს, მათი აღდგენა ისე, რომ ამუშავებულ იქნას შესაბამისი ეკოსისტემა. შენარჩუნებულ იქნას ცხოველთა და მცენარეთა ჯიშები. ამგვარად, ბუნებრივ გარემოს მიეცემა შემდგომი რეგენერაციის საშუალება, ამით კი იგი მთლიანად შეინარჩუნებს თავის მრავალსახეობას, განუმეორებლობას და სილამაზეს.

7. ***სოფლის მეურნეობა.*** მიზანია საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად შემუშავებულ იქნას ტრადიციულად დამუშავებადი მიწის მენეჯმენტი. შანარჩუნებულ იქნას, ხელი შეეწყოს და განვითრდეს სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელიც მისაღები იქნებოდა ადგილობრივი თემის თვალსაზრისითაც.

8. ***სატყეო მეურნეობა.*** მიზანია გაძლიერებულ და აღდგენილ იქნას ტყეთა როლი, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მათი დამცავი მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ შესაძლებელი იქნება ტყეთა წინააღმდეგობრივი უნარიანობის გაუმჯობესებით, ეს კი მოხდება ბუნებრივი სატყეო ტექნოლოგიების დამკვიდრებითა და ნებისმიერი იმ საქმიანობის თავიდან აცილებით, რომელიც საზიანო იქნებოდა ალპური ზონის ტყეებისათვის.

9. ***ტურიზმი და დასვენება.*** მიზანია გარემოს დაზიანების წინააღმდეგ მიმართული ქმედებათა აღკვეთით ხელი შეეწყოს ტურიზმისა და დასვენების სფეროს, კერძოდ, წყნარი ზონების გამოყოფით.

10. ***ტრანსპორტი.*** *მიზანია* ალპურ და ტრანსალპურ ზონებში სატრანსპორტო მოძრაობების შემცირება და დაყვანა იმ დონეზე, რომელიც საზიანო არ იქნებოდა ადამიანების, ცხოველების და მცნარეთა სამყაროსათვის. ეს კი თავის მხრივ შესაძლებელია სატრანსპორტო, განსაკუთრებით კი სატვირთო გადაზიდვების დატვირთვის რკინიგზაზე გადატანით.

11. ***ენერგია.*** მიზანია დამკვიდრდეს ელექტროენერგიის გამომუშავების, განაწილებისა და გამოყენების ის მეთოდები, რომელიც შეინარჩუნებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ამასთან მისაღები იქნებოდა ეკოლოგიური თვალსაზრისითაც.

12. ***ნაგვის მართვა.*** მიზანია ჩამოყალიბდეს ნაგვის შეგროვების, შემდგომი უტილიზაციისა და ნაგავსაყრელებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების გამოყოფის სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ალპური ზონის სპეციფიკურ ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ და კლიმატურ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაგვის მოცილებას.

II.3.ზ. კარპატების დაცვისა და მდგრადი განვითარების ჩარჩო-კონვეცია (კიევი 2003 წ.)

ეს კონვენცია ქრონოლოგიურად უახლესია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების სერიას შორის, რომელთა მიზანს წარმოადგენს ევროპის მთიანეთის სიტემის დაცვა და მდგრადი განვითარება. მისი მნიშვნლობა იმითაც მტკიცდება, რომ ამ კონვენციის ამოქმედების შემდეგ დღის წესრიგში დადგა კავკასიისთვის ანალოგიური დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა (თუმცა, ორჯერ დაწყებული ნამდვილად აუცილებელი საქმე, ორჯერვე შეჩერდა!).

ძნელია იმის თქმა, რომ ***კარპატების კონვენცია*** შინაარსობრივად წინ გადადგმული ნაბიჯია ***ალპების კონვენციასთან*** შედარებით – ამას თუნდაც მისი ჩარჩო ხასიათი ადასტურებს. როგორც ჩანს, ამგვარი მიდგომა განპირობებული იყო

კარპატების ქვეყნების ნაკლები ეკონომიკური პოტენციალით ალპების ქვეყნებთან შედარებით, რაც კონვენციის უფრო ღრმად დამუშავებას არარეალისტურს გახდიდა. ამასთან ერთად, არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რომ ***კარპატების კონვენცია*** მაინც ახალ საფეხურზე აიყვანს მთიანეთის ამ ეკოსისტემისადმი საზოგადოებრივ, სამთავრობო და სახელმწიფოთაშორის ინტერესებს.

ნიშნადობლივია, რომ ***კარპატების კონვენციის*** ცალკე, მეხუთე თავი ეძღვნება სივრცით დაგეგმვას, ამ სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხაზგასმით. ციტირების ღირსია ამ მუხლის ის ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ: „3. სივრიცითი დაგეგმვის პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისას, სხვა ამოცანებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას;

ბ) ბუნებრივი რესურსების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას;

გ) რაციონალურ ქალაქგეგმარებასა და რაიონულ დაგეგმარებას საზღვრის-პირა ზონებში;

დ) გარემოს დაბინძურების ტრანსსასაზღვრო გავლენის პრევენციას;

ე) მიწათსარგებლობის დაგეგმვასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შეთანაწყობას“.

ამასთან, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს კონვენცია სატრანსპორ-ტო და საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრსტრუქტურის დაგეგმვისას.

კარპატების კონვენცია გასათვალსწინებელია ***კავკასიის კონვენციის*** პროექტ-ზე მუშაობისას, ამასთან კავკასიის რეგიონის გეოპოლიტკური და ეთნოკულტუ-რული თავისებურებებიდან, აგრეთვე არსებული და პროგნოზირებული ვითარები-დან გამომდინარე, სასურველია ამ უკანასკნელს მეტი სიღრმე და დეტალიზაცია მიეცეს; თუნდაც ისეთ ასპექტში, როგორიცაა ადგილობრივი ლინგვისტური მრა-ვალფეროვნების, სულიერი კულტურის შენარჩუნება, შესაძლო სამხედრო მოქმედე-

ოფიციალური (სახელმწიფო) ვერსია

საქართველოს კანონი „მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარე-ბის შესახებ“ ქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მიგრაციის შეჩერება და რეგიონის მდგრადი განვითარება.

კრიტიკული (ალტერნატიული) პოზიცია

კარგად დაუკვირდით მსოფლიოს პოზიციურ გამოცდილებას, შეადარეთ ჩვენსას, მართლა ასეა საქმე?

ბებისას მატერიალური კულტურის დაცვის გარანტიები და სხვა ამგვარი.

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *როგორ ჩამოაყალიბებდით „ალპური კონვენციის“ კავკასიურ ვარიანტს, ყველაფრის გადაწყვეტა რომ თქვენს ხელში იყოს?* ----------
---

შემოწმება (საკონტროლო გვერდი)

განვლილი მასალის გამეორება

1. რას ნიშნავს - ეკოსისტემის წინაშე მდგომი პრობლემები; ეკოლოგიური კატასტროფა. რეალურად რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას (მათ შორის საქართველოსათვის);
2. დღევანდელი ცივილიზებული საზოგადოება აღიარებს „მთიანეთის საკვანძო როლს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში“ - როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ცნების შინაარსი?
3. სახელმწიფოების და განსაკუთრებით მთიანი ქვეყნების განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებს“ - როგორ შეიძლება ამ ცნების შინაარსის გადმოცემა საქართველოს მაგალითზე?
4. თანამედროვე სახელმწიფოს აღმშენებლობის პრაქტიკა აღიარებს „ქვეყნის განვითარების სექტორული პოლიტიკის მისადაგებას მთიანეთის პრობლემებისადმი“ - როგორ შეიძლება ამ აზრის განვითარება საქართველოს მაგალითზე?

<u>შემოხაზე სწორი პასუხი:</u>

ა. საქართველოს უმაღლესი მწვერვალია:
- იალბუზი
- შხარა
- მყინვარწვერი

ბ. კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება მდინარეები:
- ალაზანი, რიონი
- თერგი, მტკვარი
- არღუნი, ჭოროხი

გ. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უტყეო ნაკრძალია:
- აჯამეთის
- ალგეთის
- ყაზბეგის

დ. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებია:
- რუსეთი, უკრაინა, სომხეთი;
- სომხეთი, ზერბაიჯანი, ირანი;
- თურქეთი, რუსეთი, ზერბაიჯანი;

<u>დაასკვენეთ შინაარსობრივ-აზროვნებრივი ფყვილები:</u>

შემოწმება საკონტროლო გვერდი)

სიტუაციის ანალიზი

სიტუაცია: საქართველოს მთავრობის დავალებით თქვენ დაინიშნეთ მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორად. ერთი წლის გასვლის შემდეგ თანამდებობიდან გადათავისუფლეს იმ მოტივით, რომ ,,ვერ გაითვალისწინეთ რეგიონის სპეციფიკა".

საკონტროლო კითხვები:

1. *როგორ გესმით/ხედავთ მცხეთა-მთიანეთის მხარის სპეციფიკას? რა მსგავსება და განსხვავებაა მასა და სხვა დანარჩენ რეგიონებს შორის?*
2. *რა მსგავსება და განსხვავებაა (რისი გათვალისწინებაც აუცილებელია!) დუშეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და თიანეთის რაიონებს შორის (თქვენი თვალთახედვა)?*
3. *რა დავალება (5 ძირითადი პოზიცია) შეიძლება მოეცა თქვენთვის ქვეყნის ხელისუფლებას (საქართველოს განვითარების დღეგანდელი ორიენტაციებისა და არსებული პრობლემების გათვალისწინებით)?*
4. *თქვენის აზრით; რა ვერ შეუსრულეთ მთავრობას, ან რა ვერ შეასრულეთ - როგორც თქვენი ძირითადი ამოცანა (თუ შეიძლება იყოს ამ ორ პოზიციაში განსხვავება)?*
5. *შეგიძლიათ თუ არა, რომ იმართლოთ თავი (ობიექტურად და ლოგიკურად)?*

საპროექტო დავალება

ვირტუალური სიტუაცია: თქვენ, როგორც აღნიშნული საქმის ექსპერტმა, მიიღეთ დავალება შეიმუშაოთ წინადადებები ,,კავკასიის რეგიონის (სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და ჩრდილოეთი კავკასია) მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის".

შეასრულე ამოცანა ლოგიკური თანმიმდევრობით:

1. *ჩამოაყალიბეთ აღნიშნული რეგიონის ქვეყნებისა და ხალხების სრული ჩამონათვალი;*
2. *ჩამოაყალიბეთ აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ძირითადი (5 არსებითი პარამეტრი) მსგავსი მახასიათებლები (ეკოლოგიურ-რეკრეაციული ორიენტაციით);*
3. *ჩამოაყალიბეთ აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ძირითადი (3 არსებითი პარამეტრი) განმასხვავებელი ნიშან-თვისება;*
4. *რას ნიშნავს თქვენის აზრით აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური მდგარდობა - ერთიანი ეკონომიკური განვითარების 3 ძირითადი მიმართულება;*
5. *რას ნიშნავს თქვენის აზრით აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ეკოლოგიური მდგარდობა - ეკოსისტემის გადარჩენის 3 ძირითადი ამოცანა;*
6. *რას ნიშნავს თქვენის აზრით აღნიშნული რეგიონის ქვეყნების სოციალური მდგარდობა - საზოგადოების ერთიანი თანაცხოვრების (ერთობლივი განვითარების) 3 არსებითი მიმართულება;*
7. *სამი რეკომენდაცია ტრანსსასაზღვრო ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის (რა უნდა იყოს ერთიანი/მაქსიმალურად დაახლოებული).*

4. საქართველო, როგორც მთიანი ქვეყანა (მოკლე ანალიზი)

მიზანი (ამოცანა)

აღწერე *– საქართველოს, როგორც მთიანი ქვეყნის, ძირითადი მახასიათებლები და პრობლემები;*

განსაზღვრე *- ცალკეული მთიანი მხარეების ნუსხა და მათი სპეციფიკური ნიშან-თვისებები (მსგავსება-განსხვავება).*

გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, საქართველოს მთელი ტერიტორიის 54.4% მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლაა), თუმცა, თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებებით, რომლის თანახმადაც <u>მთიანი რეგიონები არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარების, მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას</u>, ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მთიანეთის სამი ძირითადი ნაწილი – აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ მთიანეთები, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – როგორც ტრადიციებით და რესურსული პოტენციალით, ასევე განვითარების შესაძლებლობებით.

უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად მთიან რეგიონებს განეკუთვნებოდა 13 ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რაც, დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად წარმოადგენს ძირითადად 3 მხარეს (+ ზემო სვანეთი და თუშეთი), მათში შემავალ 16 რაიონსა და 272 ადგილობრივ (სათემო-სასოფლო) ადმინისტრაციულ ერთეულს; თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დაყოფა ძალზე პირობითია. დღეისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ თანახმად, მისი მიღების პერიოდში ასეთი სოფლების რაოდენობა შეადგენდა 497-ს, დღეისათვის (დამატებების ხარჯზე) მათი რიცხვი 1540-ა.

ისტორიული ანალიზის შესაბამისად მთიანი რეგიონები XX საუკუნის 30-ან წლებამდე (1926 წლის აღწერის თანახმად) ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებულნი იყვნენ. ისინი, ისევე როგორც დღეს, ქვეყნის საზღვარს წარმოადგენდნენ, ამდენად ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მისია სახელმწიფოს საზღვრების დაცვა იყო. მკაცრი კლიმატური პირობებით განპირობებული ნაწილობრივ ჩაკეტილი შინამეურნეობის პირობებში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მესაქონლეობა და ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც მიუხედავად კუსტარულობისა, საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის ჩამოყალიბებაში არ უთამაშია განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ ფაქტორებს. მეურნეობრიობის ესა თუ ის ფორმა ყალიბდებოდა და ვითარდებოდა თითოეულ მათგანში ავტონომიურად, ბუნებრივი გარემო-პირობების თანდათანობით შესწავლა-ათვისების შესაბამისად.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე გარკვეული სამეურნეო კარჩაკეტილობა განსაზღვრავდა ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ამასთან ერთად მათი დაცვისა და გამრავლების საკითხებს; თითოეული რეგიონისათვის გარკვეული იყო იმ აუცილებელი მოთხოვნის ელემენტები, რომელთა შემოტანაც იყო საჭირო სხვა რეგიონებიდან. საკმაოდ განვითარებული სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს თვით ტრადიციული უგზოობაც ვერ უშლიდა ხელს.

ათეული წლების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. მდგომარეობა, მთელი რიგი მიმართულებების შესაბამისად (ცხოვრების საერთო განვითარების პარალელურად) არსებითად გაუმჯობესდა, რიგმა ფუნქციებმა დაკარგა აქტუალობა, ხოლო რიგი პარამეტრების მიხედვით, საერთო მდგომარეობა გაუარესდა კიდეც.

იმისათვის, რომ გვქონდეს დღევანდელი სიტუაციის ანალიზის საშუალება, საინტერესო და შედეგისმომტანი შეიძლება იყოს, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პოზიციებისადმი, მთიანეთის განვითარების სფეროში წამყვანი ქვეყნის – შვეიცარიის სპეციალისტების მიერ შემუშავებულ კითხვარზე გაცემული პასუხების გაცნობა, რომელიც ქვემოთაა მოტანილი:

ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტის განვითარებისა და გარემოს ცენტრის კითხვარი

	კითხვები	**პასუხები**
1	ჰყავს თუ არა მთიანეთს ლობი ნაციონალურ პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღებაში?	დიახ, მაგრამ ეს ლობი ნაკლებად ქმედითია
2	წარმოადგენს თუ არა დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვან თემას საქართველოში?	დიახ, ეს თემა მეტად პოპულარულია, მაგრამ არ არის მხარდაჭერილი ინსტიტუციური და ფინანსური თვალსაზრისით
3	როგორ განიმარტება მთიანეთი საქართველოში?	ჰიპსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხავადსხვა პარამეტრების (მთის ფერდობებისა და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლისის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.
4	არსებობს ოფიციალური რუკა, რომელზედაც გამოყოფილია მთიანეთი?	არა, მაგრამ არსებობს მთიანეთის რეგიონებისა და საკრებულოების ოფიციალური ჩამონათვალი
5	ითვალისწინებს თუ არა ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ტრადიციულ უფლებებს ბუნებრივ რესურსებზე?	რა
6	მთიანეთს თუ გაჩნია ხმა შიდა პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ინტერეს ჯგუფების მეშვეობით?	მთიანეთის ინტერესების გამომხატველები ძირითადად არიან შესაბამისი რაიონების მაჟორიტარი დეპუტატები და არასამთავრობო ორგანიზაციები
7	ხორციელდება თუ არა მთიანეთსა და ბარს შორის ფინანსური ნაკადების ანალიზი?	არა, მაგრამ ეს განხორციელებადია
8	აღიარებს თუ არა სექტორული პოლიტიკა მთიანეთის რესურსების ამოღების უარყოფით შედეგებს და	არა

	ატარებს თუ არა პრევენციულ ზომებს?	
9	რა წარმოადგენს გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის შედეგებს მთიანეთში?	ცხოვრების ჩამოყალიბებული წესის დეგრადაცია, ფასეულობების სისტემის ცვლა, მიგრაციის სტიმულირება, მარგინალიზაცია.
10	იცავს თუ არა ნაციონალური კანონები და პოლიტიკა მთის თემების უფლებას ადგილობრივ რესურსებზე? შეიძლება ამ უფლების დაცვა?	რა
11	დგას თუ არა ქვეყნის პოლიტიკის დღის წესრიგში კომპენსაცია მთის რესურსების მოხმარებისთვის? არსებობს ამგვარი კომპენსაცის მექანიზმის მაგალითი?	რა
12	გაანალიზებულია საქართველოს მთიანეთის ეკონომიკა და თუ იციან ამის შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა	არა, საქრთველოს ეკონომიკა მთიანეთის ჭრილში გაანალიზებული არ არის
13	არის სექტორული პოლიტიკა ორიენტიებული რესურსების მონოფუნქცურ გამოყენებაზე?	დიახ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.
14	არსებობს თუ არა ნაციონალური პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მთის ეკონომიკაზე, ეკონომიკური შესაძლებლობების გამრავალფეროვნებაზე და შესაბამის სტრატეგიაზე?	რა
15	განსაზღვრულია თუ არა მთიანეთსა და ბარს შორის განვითარების თანაფარდობის მიღწევის შესაძლებლობები?	რა
16	თუ არის გაცნობიერებული პრობლემად მთიანეთიდან დემოგრაფიული პოტენციალის* გადინება? რა ქმედებებს მიმართავს მთავრობა ამის აღსაკვეთად?	არა; ქმედითი გეგმა შემუშავებული არ არის
17	რას შეადგენს განათლებაში ინვესტიციები მთიანეთში ბართან შედარებით?	მთიანეთის კომპონენტი გამოყოფილი არ არის
18	აღაპტირებული თუ არის სასწავლო პროგრამები მთიანეთის რეალობასთან?	რა
19	არსებობს თუ არა აღგილობრივი სასწავლო ცენტრები, რომლებიც წარმოადგენს საინოვაციო დაწესებულებებს მთიანეთისთვის?	მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული განათლების პროგრამის A_1, A_2 და სხვა კომპონენტები ითვალისწინებს მთიანეთის პრობლემებს და მასწავლებლებისათვის სისტემატიურად ტარდება ტრენინგები, კონსულტაციები და მწვრთნელების მომზადება (საკამათოა!)
20	თუ არსებობს ენობრივი ბარიერი განათლების მიღებისათვის?	რა
21	მთავრობა თუ მეცადინეობს ინოვაციების დასანერგად მთიანეთში?	არა, გამონაკლისია IFAD-ის პროექტი (რომელიც ძალზე „გასაიდუმლებულია“)
22	არსებობს მაგალითები მთიანეთის პროდუქცის დაცვისა კანონმდებლობის მეშვეობით, როგორც პროდუქციის სპეციფიკური ბრენდებისა?	არა; მთიანეთის გეოგრაფიული სახელწოდების გამოყენებისთვის („ყაზბეგი“, „უშბა“, „შატილი“ და სხვა) ანარიცხები აგგილებზე არ მიემართება
23	აღიარებულია თუ არა მთიანეთის ტრადიციული კულტურა და ეროვნული უმცირესობები?	საქართველოს სპეციფიკურ პირობებში ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია
24	არსებობს თუ არა ტრადიციული კულტურული ლანდშაფტები ან რესურსების გამოყენების ტიპები, რომლებიც განასახიერებენ მთის კულტურას? რას აკეთებს ქვეყანა შემდეგი თაობებისთვის მათ შესანახად?	დიახ, არსებობს; მათი შენახვა არ ხორციელდება
25	სექტორული პოლიტიკა თუ სცემს აღეკვატურ პატივს მთის კულტურას?	არა

*ლედანში არის “***brain drain***”, რაც საქართველოს რეალიებს ნაკლებად შეეფერება.

26	ნაციონალური რადიო და ტელევიზიები თუ ასახავს მთიანეთის პრობლემატიკას და მთიანეთის კულტურას?	არა, მხოლოდ მომხმარებლური ფორმით
27	თუ არის ოფიციალურად აღიარებული ადგილობრივი ენები სკოლებში, ადმინისტრაციასა და სამართალში?	ნაწილობრივ, მთიანეთში სწავლება მიმდინარეობს, ქართულის გარდა, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბერძნულ ენებზე; არ მიმდინარეობს მეგრულ და სვანურ ენებზე.
28	თუ არის დაცული ბიომრავალფეროვნების მთავარი კერები და მთის მოწყვლადი ეკოსისტემები კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარიზაციით?	დიახ, ამჟამად, საქართველოს კანონის – „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ – საფუძველზე მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი და პოტენციური ეკოსისტემების ინვენტარიზაცია და კანონის შესაბამისად დაცვა.
29	მთიანეთის განვითარების სპეციფიკური საჭიროებები თუ ისახება სექტორულ პოლიტიკაში და კანონმდებლობაში (სატყეო მეურნეობა, დაგეგმვა და მშენებლობა)?	საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია. ასევე, ტყეთ მოწყობის მასალებში აისახება სატყეო მეურნეობის დაგეგმვა და მშენებლობა.
30	თუ არსებობს დადებითი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებს, რომ განვითარება შესაძლებელია ბიომრავალფეროვნებებისა და მოწყვლად ეკოსისტემებზე ნეგატიური გავლენების გარეშე?	ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს არსებული ეროვნული პარკები და სხვა დაცული ტერიტორიების კატეგორიები.
31	მთის რომელ ლანდშაფტებსა და ეკოსისტემებს დაემუქრა საქართველოში გარემოს გლობალური ცვლილებები (მაგ., გლობალური დათბობა)?	გარემოს გლობალური ცვლილებები შეიძლება დაემუქროს მაღალმთიან დიდი დაქანების ფერდობებს, რომლებიც ტყის უკანონო ჭრის შედეგად გამეჩხერდნენ და წარმოადგენენ მეწყერსაშიშ ზონებს.
32	რა სტატეგიას მიმართავს მთავრობა მათთან გამკლავების მიზნით?	საქართველო გაუდაბნოების კონვენციის მხარეა და იცავს კონვენციის მოთხოვნებს.
33	რა ნაბიჯებია გადადგმული საქართველოში მთიანეთის მდგრადი განვითარების პრობლემატიკის ინსტიტუცინალიზაციის მიზნით?	ამგვარი ნაბიჯები გადადგმული არ არის
34	რომელი ორგანოა პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობაში მთიანეთის მდგრადი განვითარების საკითხებზე?	ამგვარი ცენტრალური ორგანო არ არსებობს
35	ჰყავს ამ ორგანოს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლები? მონაწილეობს ეს ორგანო გადაწყვეტილებების მიღებაში და თუ არის დაკავშირებული საერთაშორისო ინიციატივებთან?	–
36	თუ არსებობს არაფორმალური ორგანიზაციების ქსელი, რომელსაც მთავრობა აღაირებს პარტნიორად მთიანეთის განვითარების პოლიტიკის შემუშავების საქმეში?	შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომელიც ცდილობს ითანამშრომლოს მთავრობასთან
37	რა ღონისძიებებს გეგმავს საქართველოს მთავრობა ***მთის საერთაშორისო წლის*** შემდეგ?	დადგენილი არ არის (ეს ამბავი არც კი აღნიშნულა)

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *როგორ ჩამოაყალიბებდით (ისტორიული ანალიზისა და შვეიცარიული სპეციალისტების მოსაზრებების დახმარებით) საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივებს (5 ძირითადი მიმართულება)?* ----------
---

5. ტერიტორიის ფუნქციონალური დარაიონების პრინციპები

მიზანი (ამოცანა)

აღწერე *– ტერიტორიის ფუნქციური დარაიონება, როგორც სამეცნიერო-შემეცნებით პროცესი;*

განსაზღვრე *- საქართველოს ცალკეული რეკრეაციული რაიონების ძირითადი მახასიათებლები და ქვერაიონების შექმნის შესაძლებლობები.*

ტერიტორიის ფუნქციური დარაიონება წარმოადგენს რთულ სამეცნიერო-შემეცნებით პროცესს, რომლის მიზანია ერთმანეთისაგან რაიმე მკაცრად განსაზღვრული ნიშნით განსხვავებული სივრცითი ერთეულების გამოვლენა. რეკრეაციული დარაიონების არსი მდგომარეობს საერთოსახელმწიფოებრივი, რეგიონალური ან ლოკალური დონის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემების (კომპლექსების) თანადაქვემდებარების გამოყოფასა, კლასიფიკაციასა და დადგენაში. რეკრეაციული რაიონი ყალიბდება რეკრეაციული მომსახურების სფეროში (საკურორტო მკურნალობა, ზოგადგამაჯანსაღებელი დასვენება, ტურიზმი) შრომის გეოგრაფიული განაწილების პროცესში.

სხვადასხვა რანგის რეკრეაციული რაიონების გამოყოფისას ძირითადი კრიტერიუმებია:

- ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული რესურსების არსებობა, მათი კონცენტრაცია გარკვეულ ტერიტორიაზე;
- რეკრეაციული მომსახურების თვალსაზრისით ტერიტორიის გამოხატული სპეციალიზაცია;
- მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს შეუღლებული დარგების განვითარების დონე;
- დამსვენებლებისა და ტურისტების მომსახურებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი.

„სიგანეში“ და „სიღრმეში“ რეკრეაციული მომსახურების ინტენსიური ზრდის ფონზე, ქვეყნის საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების რეგიონალური თავისებურებების კვლევის დროს, შეიქმნა საქართველოს რეკრეაციული დარაიონების სქემა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში საკურორტო-ტურისტული მეურნეობის როგორც თანამედროვე მდგომარეობას, ასევე პერსპექტიულ განვითარებას.

ამ სქემას საფუძვლად უდევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საკურორტო-რეკრეაციული სპეციალიზაცია და, მართვის ცენტრის არსებობის პირობებში, რაიონის შინაგანი ეკონომიკური ერთიანობა.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია 11 საკურორტო-რეკრეაციული რაიონი:

<u>**აფხაზეთი**</u> – მსხვილი საკურორტო-რეკრეაციული რაიონის ჩამოყალიბება ძირითადად განპირობებული იყო ბუნებრივი ფაქტორებით – რბილი სუბტროპიკული ჰავის, თბილი ზღვის, მზის ნათების მაღალი ინტენსიურობის, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროების კეთილისმყოფელმა შერწყმამ შექმნა ბუნებრივი ფონი კურორტებისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

აფხაზეთი თავისი ტერიტორიული მთლიანობით, სამეურნეო მიმართულებით, საერთო მნიშვნელობის სხვადასხვა დარგებთან ერთად, რეკრეაციული სპეციალიზაციით საქართველოს ერთერთი სრულად ჩამოყალიბებული რაიონი იყო.

ისევე როგორც სხვაგან, აფხაზეთშიც, შავი ზრვიდან დაშორებისა და ადგილის სიმაღლის მატების შესაბამისად იცვლება ტერიტორიის რეკრეაციული ფუნქციით გამოყენების ხასიათი. მაღალ ადგილებში ძირითად ადგილს იკავებს სპორტული რეკრეაცია (ტურიზმი, ალპინიზმი) და იზღუდება სამკურნალო და დასვენებით-გამაჯანსაღებელი რეკრეაციული ფუნქციები.

ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ტერიტორიული განლაგება ხასიათდებოდა (დღეისათვის ძნელია ითქვას ყოფილი რესურსებიდან რა მოქმედებს და რა არა) კონცენტრაციით აფხაზეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, სადაც ჩამოყალიბდა ორი მძლავრი ქვერაიონი – გაგრა და სოხუმი.

გაგრის ქვერაიონი აერთიანებს ლესელიძე-განთიადის, საკუთრივ გაგრის, ბიჭვინთისა და რიწა-ავადჰარას, ხოლო სოხუმის ქვერაიონი – გუდაუთის, ახალი ათონისა და სოხუმის პირველად კომპლექსებს.

<u>აქაც და ქვემოთ ყველგან, რაიონების დახასიათება უფრო ვრცლად იხ.: ი. გაბუნია, „საქართველოს რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) რაიონები“, 2005. გასათვალისწინებელია ერთი გარემოება – რიგი მონაცემები საკმაოდ მოძველებულია და შესაძლებელია შორს იყოს რეალობისაგან, მაგრამ რაც შეეხება ბუნებრივ-ისტორიულ რესურსს, ეს ნაწილი საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი.</u>

<u>აჭარა</u> – სპეციალიზაციის მიხედვით აფხაზეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის მსგავსია, თუმცა რეკრეაციული მომსახურების შედარებით ნაკლები მასშტაბებით. ძირითადი საკურორტო-რეკრეაციული ცენტრებია – ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქობულეთი, რომელსაც შემორჩენილი აქვს როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე გააჩნია ზრდის სერიოზული პერსპექტივები.

აჭარა მდიდარია მინერალური წყაროებით. შავი ზღვა – მთელი საქართველოს და კერძოდ აჭარის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომლის სანაპირო ხაზის სიგრძე 54 კმ-ზე ვრცელდება.

რეკრეაციული მეურნეობა აჭარის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამჟამად მიმდინარე ძალზე სერიოზული პროექტების დასრულების შემდეგ, ალბათ უმტავრესი გახდება. გამოიყოფა ორი რეკრეაციული ქვერაიონი: ბათუმისა და ქობულეთის (სამწუხაროდ ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა აჭარის მთიანეთი). პირველი მოიცავს ბათუმს, მახინჯაურს და სამთო-კლიმატურ კურორტ ცისკარს (მტირალას მთაზე); მეორეში გაერთიანებულია ქობულეთისა და ციხისძირის პირველადი რეკრეაციული კომპლექსები. ბათუმის ქვერაიონი ტურისტულ-საკურორტო, ხოლო ქობულეთი – ძირითადად რეკრეაციული ხასიათისაა.

<u>მესხეთ-ჯავახეთი</u> – ტერიტორიის ოროგრაფია ძალზე მრავალფეროვანია. ქედებთან ერთად გვხვდება ზეგნები, პლატოები, ქვაბულები, რომლებიც დანაწევრებულია მდინარეებით. ჭარბობს რელიეფის

ვულკანური ფორმები (ჯავახეთისა და სამსარის ქედები). რელიეფის ვულკანურ ფორმებს ასევე ვხვდებით ერუშეთის მთიანეთში, არსიანის ქედის განშტოებებზე და ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში. სამკურნალო თვისებების მქონე მთის ჰავამ და მრავალი მინერალური წყაროს არსებობამ განაპირობა ამ რაიონში რამოდენიმე კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციონირება. აქ მდებარეობს კავკასიაში ყველაზე ცნობილი ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო პროფილის მქონე კურორტი – აბასთუმანი, სადაც კლიმატო-თერაპიასთან ერთად, ატარებენ ბალნეოლოგიურ მკურნალობას ადგილობრივი სულფატურ-ქლორიანი წყაროების ბაზაზე, და მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი – ვარძია (დღეისათვის ეს უკანასკნელი ხელახლა შესაქმნელია, რამდენადაც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, რომლებითაც ძალზე მდიდარია თითოეული რაიონი და ხეობა, სხვა აღარაფერია დარჩენილი).

<u>ბორჯომ-ბაკურიანი</u> – საქართველოში მთავარი, მთის ტიპის მრავალფუნქციური რაიონი, სადაც თავმოყრილია ქვეყნის ყველა სანატორიულ-კურორტული და ტურისტული დაწესებულებების საწოლთა ფონდის 15%-მდე. ბორჯომ-ბაკურიანის რეკრეაციული რაიონი თავის მხრივ შედგება ბორჯომის, წაღვერისა და ბაკურიანის პირველადი რეკრეაციული კომპლექსებისაგან. ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე განვითარებული და მრავალფეროვანია ბორჯომის ლოკალური რეკრეაციული კომპლექსი, რომელიც პირველ რიგში, სპეციალიზებულია საკურორტო მკურნალობაზე. ამასთან ერთად, ბორჯომი წარმოადგენს ტურიზმისა და დასვენების ცენტრს. ბაკურიანის ლოკალურ კომპლექსს გააჩნია ორმაგი ფუნქცია: ზაფხულში ესაა ტიპიური „საბავშვო“ და „საოჯახო“ კურორტი, ხოლო ზამთარში იგი იქცევა სამთო-სათხილამურო სპორტის უმსხვილეს ცენტრად. თუ გავითვალისწინებთ ამჟამად იქ მიმდინარე მშენებლობების მასშტაბებს, შეიძლება ითქვას, რომ პერსპექტივები განუზომლად დიდია.

<u>კოლხეთი</u> – უჭირავს კოლხეთის დაბლობი ზღვისპირეთის სანაპირო ზოლით და მიმდებარე მთისწინეთი. მის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ცენტრალური შავი ზღვისპირა, მენჯ-ცაიშის და წყალტუბოს საკურორტო კომპლექსები. აქ განლაგებულია სხვადასხვა მინერალური წყაროების ბაზაზე მოქმედი ბალნეოლოგიური კურორტები – წყალტუბო, ცაიში, მენჯი და ზღვისპირა ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატური კურორტები – ანაკლია, ყულევი, ურეკი, გრიგოლეთი, მალთაყვა. მსხვილ ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს ქ. ქუთაისი.

<u>სვანეთი</u> – მთის ჰავა, მაღალმთიანი ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები, უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა ამ რაიონს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ხდის საქართველოში.

სვანეთში ბევრია სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყაროების გამოსასვლელები (ლახამულას, მესტიის, ბეჩოს,

ლასკადურას, მუაშის და სხვა). რეგიონის მინერალური წყაროების უმრავლესობა განლაგებულია ჯანმრთელი მთის კლიმატის პირობებში, ლამაზი პეიზაჟის გარემოცვაში, რაც აძლიერებს მათი საკურორტო გამოყენების შესაძლებლობებს.

სვანეთის რეკრეაციული რაიონი ბუნებრივად არის გაყოფილი 2 ძირითად – მესტიისა (მდ. ენგურის ზემო წელი) და ლენტეხის (მდ. ცხენისწყლის ზემო წელი) ქვერაიონებად, რომელთა შიდა რეკრეაციულ კომპლექსებად დაყოფა კიდევ შეიძლება ტერიტორიული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

<u>რაჭა-ლეჩხუმი</u> – თავისი ბუნებრივი ფაქტორებით სვანეთის საკურორტო-რეკ-რეაციული რაიონის მსგავსია. რაჭა-ლეჩხუმის რეკრეაციული პოტენციალი – ასწლოვანი ხეებით დაბურული წიწვიანი ტყეები, ხელსაყრელი კლიმატური, ჰიდრომინერალური რესურსები, ბუნებრივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კულტურის ძეგლების სიუხვე ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული და გამოყენებული დასვენებისა და მკურნალობისათვის. რეგიონში შერეული ტიპის 6 კურორტი და 9 საკურორტო ადგილია.

რაჭა-ლეჩხუმის რეკრეაციული რაიონი ძირითადად ჩამოყალიბებულია ონის რაიონის ტერიტორიაზე. იგი შედგება შოვისა და ონი-უწერის პირველადი რეკრეაციული კომპლექსებისაგან.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს კარსტული მღვიმეების და ჰიდროგრაფიული ქსელის, ვოკლუზებისა და ჩანჩქერების საინტერესო მრავალფეროვნება, რაც აფართოებს არა მარტო რეკრეაციულ მნიშვნელობას, არამედ მის შიდა გეოგრაფიასაც.

<u>სამხრეთ ოსეთი</u> – ამ რაიონში ამჟამად მხოლოდ ერთი ბალნეო-კლიმატური კურორტია (ჯავა), თუმცა გართულებული პოლიტიკური მდგომა-რეობის გამო (ისევე როგორც აფხაზეთში) ამ რეგიონებზე უფრო კონკრეტული მსჯელობა უახლოესი მომავლის საქმეა.

<u>აღმოსავლეთ კავკასიონი</u> – ჩამოყალიბდა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ; მდიდარია დიდი ხნის ტურისტული ტრადიციებით; ტურიზმისა და დასვენების ცენტრებია: გუდაური, ყაზბეგი, ფასანაური, ბაზალეთის ტბა და ა.შ.

რეკრეაციული რეგიონის ფარგლებში გამოიყოფა დუშეთის, ჟინვალ-ანანურის, ფასანაურის, ფშავ-ხევსურეთის და ყაზბეგის პირველადი კომპლექსები. ყველა მათგანისათვის მთავარი ტურისტული ფუნქციაა, თუმცა სხვადასხვა ტიპის მინერალური წყაროების არსებობა (მათი მიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში) და მაღალი მთის კლიმატი კომპლექსების რეკრეაზიულ მიმზიდველობაზეც მიგვანიშნებს.

<u>თბილისი</u> – ფუნქციური დანიშნულებით არსებითად განსხვავდება საქართვე-ლოს სხვა საკურორტო-რეკრეაციული რაიონებისაგან. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობს თბილისის ქალაქის აგლომერაციის მოსახლეობის უზრუნველყოფაში ხანმოკლე და სეზონური (ზაფხული) დასვენებით. საქართველოს დედაქალაქში ისტორიულ-კულტურული ფასეულობების თავმოყრისა და მისი

მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქალაქი ვითარდება როგორც საერთაშორისო, რეგიონალური (შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზი) და ნაციონალური ტურიზმის მსხვილი ცენტრი. თბილისი ცნობილია აგრეთვე როგორც ბალნეოლოგიური კურორტი (დაარსებისა და საბოლოო გადაწვის – აღა-მაჰმად-ხანი ლეგენდები, გოგირდის აბანოები).

<u>კახეთი</u> – კახეთის რეკრეაციულ მეურნეობაში, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, წამყვანია არა საკურორტო, არამედ ტურისტულ-საექსკურსიო ფუნქცია. კახეთი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, მიმზიდველობითა და სილამაზით გამოირჩევა. აქ გვხვდება როგორც ვრცელი ვაკეები, მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მცენარეულობით, ასევე საშუალო მთიანი და მარალმთიანი ქედები გეოგრაფიული ლანდშაფტების კარგად გამოსახული ვერტიკალური ზონალობით. ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს შორის განსაკუთრებული ადგილი ნაკრძალებს ეკუთვნის (ლაგოდეხი, მარიამჯვარი, ბაწარა, ბაბანაური, თუშეთი, ვაშლოვანი). რაიონი ფართოდ გამოიყენება თბილისის აგლომერაციის მოსახლეობის ხანმოკლე დასვენებისათვის. აქ არის საქართველოში ერთადერთი ტალახით სამკურნალო კურორტი ახტალა. რაიონს აქვს რამოდენიმე ტურისტული ცენტრი – თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, გურჯაანი.

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მთათუშეთის რეაბილიტაცია-რეგენერაციის პროექტების განხორციელება (მათ შორის უცხოური ინვესტიციებითაც), რაც ამ მაღალმთიანი რეგიონის ძალზე საინტერესო ტურისტულ-რეკრეაციულ მომავალზე ფიქრის საშუალებას იძლევა.

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *რამდენად ეთანხმებით საქართველოს რეკრეაციული დარაიონების მოცემულ სქემას და როგორ შეცვლიდით მას თქვენი <u>არგუმენტირებული პოზიციების</u> შესაბამისად?* ----------
---

6. საქართველოს რეკრეაციული პოტენციალი

მიზანი (ამოცანა)

აღწერე *– საქართველოს მხარეების ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა;*

განსაზღვრე *– ცალკეული მხარეებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების რეკრეაციული პოტენციალი, როგორც განვითარების პოტენციური რესურსი.*

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკურორტო-ტურისტულ ქვეყანას (ამაზე მეტყველებს მისი ისტორია თუნდაც უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში და, რაც მთავარია, სახელმწიფოს განვითარების ოფიციალურად აღიარებული პრიორიტეტები). მისი თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, კურორტები და მინერალური წყაროები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები ხელს უწყობენ საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას.

საქართველო განლაგებულია ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, მისი ტერიტორიაა 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრი. მიუხედავად ფართობის სიმცირისა, მის ტერიტორიაზე თავმოყრილია გეოგრაფიული ლანდშაფტის მრავალფეროვნება, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებიდან, დამთავრებული მარადიული თოვლისა და ყინულის ზონით. ამიტომაც ქვეყნის რეკრეაციული რესურსები მეტად მრავალფეროვანია, თუმცა მათ განლაგებაში შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებაც.

ბუნებრივი ფაქტორების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა საქართველოში გამოყოფილიყო 340 საკურორტო ადგილი, რომლებიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. საკურორტო ადგილებისათვის დამახასიათებელია სასურველი ჰავა, მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახების არსებობა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (მითუმეტეს ამჟამინდელი სოციალური ფონის პირობებში) სამკურნალო ბუნებრივ ფაქტორებს იყენებს საკურორტო ადგილებზე არაორგანიზებული ჩასვლის გზით. ზოგი კურორტი კეთილმოწყობილია: აშენებულია კოტეჯები, პატარა სააბაზანო შენობები, მოწყობილია მინერალური წყლების ბუნებრივი სადენები.

საკურორტო ადგილების, რეკრეაციული რესურსის სრული ათვისება (რაც სერიოზული ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია) წარმოადგენს დიდ რეზერვს სამედიცინო პროფილის სხვადასხვა საკურორტო დაწესებულებების ფართე ქსელის მშენებლობისათვის.

6.1 რელიეფი

საქართველო გამოირჩევა რთული რელიეფით, რასაც პირველ რიგში განაპირობებს მისი გეოტექტონიკური მდებარეობა.

<u>**ოროგრაფია:**</u> საქართველოს ძირითადი, ანუ პირველი თანრიგის ოროგრაფიული ერთეულები მსხვილი ალპური მორფოსტრუქტურების ნაწილებია. ეს ერთეულებია: 1. კავკასიონის მთიანეთი, 2. საქართველოს მთიანეთშორისი ბარი, 3. მცირე კავკასიონის მთიანეთი, 4. სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი.

საქართველოს საზღვრებში შედის კავკასიონის შუა ნაწილი (უმთავრესად სამხრეთ კალთა), ამიერკავკასიის მთათშორისი ბარი, მცირე კავკასიონისა და ამიერკავკასიის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები. ჰიფსომეტრიული ნიშნულები ქვეყნის ტერიტორიაზე ნულიდან (შავი ზღვის ნაპირი) 5 068 მეტრამდე (მწვ. შხარა) ცვალებადობს. საქართველოს ზედაპირის საშუალო აბსოლუტური

სიმაღლეა 1 508 მეტრი (აღმოსავლეთ საქართველო – 1 691 მ., დასავლეთ საქართველო – 1 314 მ.).

კავკასიონის მთიანეთი მოიცავს მრავალ ქედს, ხეობას და ქვაბულს. საქართველოს ფარგლებში გამოიყოფა მეორე თანრიგის ოროგრაფიული ერთეულები:

ა) კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რომელიც მაქსიმალურ სიმაღლეს (4 300 – 5 068 მმ.) სვანეთ-რაჭის ფარგლებში აღწევს (მთები – შხარა, ჭანჭახი, შხელდა, უშგული და ა.შ.). სვანეთის დასავლეთით უმაღლესი მწვერვალია დომბაი-ულგენი (4 046 მ), ხოლო რაჭის აღმოსავლეთით მწვ. ხალაწა (3 938 მ.);

ბ) კავკასიონის სამხრეთი გასწვრივი და განივი ქედები: გაგრის, ბზიფის, ჩხალთის, კოდორის, შდავლერის, ცალგამის, უღვირ-ზაგარის, სვანეთის, ეგრისის, ლეჩხუმის, შოდის, კედელას, რაჭის, ჯავის, ხარულის, ალევის (ლომის-ალევის), მთიულეთის, გუდამაყრის, ქართლის კახეთის და სხვა. მათი უმაღლესი მწვერვალები 3 000 – 4 000 მ-ს აღწევენ (მწვ. ლაჰილი 4 010 – სვანეთის ქედი);

ც) კავკასიონის ჩრდილოეთი გასწვრივი და განივი ქედები: ხოხის, ყუროს, შავანის, კიდეგანის, ხევსურეთის, აწუნთის, პირიქითის ანუ თუშეთის; ხოხისა და პირიქითის ქედებზეა შესაბამისად უმაღლესი მწვერვალები (მყინვარწვერი – 5 033 მ., ტებულოს მთა ანუ დაქუეხი – 4 493 მ.);

დ) კავკასიონის ორივე კალთის მდინარეები ღრმა, ციცაბოფერდობიან ხეობებში მოედინებიან, რომლებიც გარკვეულ მონაკვეთებში გრანდიოზულ კლდეკარებს ქმნიან (დარიალის კლდეკარი თერგზე; ენგურის, ბზიფის, რიონის, ხობისა და სხვა მდინარეთა ვიწროები), ზოგან კი ფართოვდებიან და ქვაბულებს აჩენენ (ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, თრუსოს, თუშეთის და სხვა).

საქართველოს მთათშორისი ბარი ლიხის ქედით 2 მთავარ ოროგრაფიულ ნაწილად იყოფა – კოლხეთის ბარად და ივერიის ბარად.

კოლხეთის ბარში შედის კოლხეთის დაბლობი ვაკე და მასზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიკრული გორაკ-ბორცვიანი ზოლები მათი შემაერთებელი იმერეთის მაღლობით.

ივერიის ბარი შედგება ერთმანეთისაგან განცალკევებული 3 ვაკისაგან (შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და ალაზნის, ანუ შიგნით კახეთის ვაკეები), მათ ირგვლივ შემოკრული გორაკ-ბორცვიანი ზოლებისა და ივრის ზეგანისაგან.

მცირე კავკასიონი გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე კავკასიონი (2 850 – 3 000 მ.მ.). ამ მთათა სისტემას მთავარი წყალგამყოფი არა აქვს, ვინაიდან გადაკვეთილია მტკვრისა და ქცია-ხრამის ხეობებით. მცირე კავკასიონს საქართველოს ფარგლებში შეადგენს განედურად გაწოლილი შავშეთის, მესხეთის (აჭარა-იმერეთის), თრიალეთისა და ლოქის ქედები, სუბმერიდიანული არსიანის ქედი, შუა ხრამის მთათა კვანძი და ახლციხის ანუ სამცხის ქვაბული.

სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი ქვეყნის დანარჩენი ნაწილებისაგან იმით გამოირჩევა, რომ აქ, დიდ აბსოლუტურ სიმაღლეზე (1 300 – 2 200 მ. ზ.დ.) ვრცელი ვაკეებია. მთიანეთის უმაღლესი მწვერვალია დიდი აბული (3 305 მ.). ვაკეებს შორის მნიშვნელოვანია ახალქალაქის ანუ ჯავახეთის, წალკის, გომარეთის, დმანისისა და ქვემო ქართლის პლატოები, ქედებს შორის – ერუშეთის, ნიალისყურის, სამსარისა და ჯავახეთის ქედები, რომელთა მწვერვალები 2 950 – 3 300 მ-ს აღწევენ.

<u>რელიეფის ტიპები:</u> საქართველოში არის ტექტოგენური, ვულკანური, პეტროგენული, გრავიტაციული, ფსევდოვულკანური, ეროზიული, ეროზიულ-

დენუდაციური, მყინვარული, ძველმყინვარული, პერიგლაციალური, კარსტული, წყალაკუმულაციური, ამთროპოგენული და სხვა წარმოშობის რელიეფი.

საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური დაყოფის გამარტივებული სქემა ძირითადად ემთხვევა პირველი თანრიგის ოროგრაფიულ ერთეულებს.

6.2 ჰავა

საკურორტო მეურნეობის განვითარებისა და ნორმალური დასვენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჯანსაღი ჰავა. ჰავის ფორმირებას საქართველოში განაპირობებს მისი მდებარეობა ზომიერი ნოტიო ხმელთაშუაზღვიპირეთისა და მშრალი კონტინენტური კასპიის აუზებს შორის. დასავლეთ საქართველოში უპირატესად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – გარდამავალი, სუბტროპიკულიდან ზომიერისაკენ. საქართველო მდებარეობს დედამიწის სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ განაპირა ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირთან და კავკასიონის მთავარი ქედის წყალობით დაცულია ჩრდილოეთის ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან. საქართველოს ჰავას განსაზღვრავს მზის რადიაციის, ატმოსფერული ცირკულაციის და რთული რელიეფის ურთიერთქმედების თავისებურებანი. აქ აღინიშნება მზის რადიაციის მაღალი მაჩვენებლები, როგორც მზის ნათების ხანგრძლივობის (წელიწადში 2000 სთ-ზე მეტი), ისე მზის დაძაბულობის თვალსაზრისით. მზის ინტეგრალური და განსაკუთრებით ულტრაიისფერი რადიაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები შეიმჩნევა მთიან რაიონებში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მთის ჰაერის სამკურნალო თვისებებს.

ქვეყნის კლიმატური რეჟიმის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს კავკასიონის მთავარი ქედების მიმართულება, რომელიც განაპირობებს ჰაერის მასების გადატანის მიმართულებებს, უპირატესად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჰავის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ადგილობრივ ცირკულაციას, რომელსაც იწვევს ხმელეთისა და ზღვის, მთის ქედების, ზეგნებისა და ხეობების არათანაბარი გახურება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ატმოსფეროს ადგილობრივ თერმულ ცირკულაციას, რომელიც იწვევს მთა ხეობის და სანაპირო (ბრიზულ და მუსონურ) ცირკულაციას და აგრეთვე ჰაერის ტურბოლენტურ მოძრაობას და მასთან დაკავშირებულ კონვექტურ ნაკადებს, რომლებიც ხშირად იწვევენ ჭექა-ქუხილს, ნალექებს და სეტყვას.

მზის რადიაციის რეჟიმი განსაზღვრავს საქართველოს ჰავის სუბტროპიკულ ხასიათს, ხოლო ატმოსფერული პროცესების ხასიათი და მათთან დაკავშირებული ამინდები საშუალებას იძლევა გავყოთ საქართველო ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ კლიმატურ ოლქად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მათ შორის კლიმატურ საზღვარს წარმოადგენს მერიდიანულად გადაჭიმული ლიხის ქედი.

აღმოსავლეთი საქართველო ხასიათდება ზომიერი სუბტროპიკული ჰავით. აქ ტენიანობა დაბალია, ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დასავლეთში, ზამთარი უფრო ცივია და შესაბამისად, ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო დიდია. აღმოსავლეთ საქართველოში გამოირჩევა ქვეოლქი გარდამავალი ჰავით, ზომიერი ნოტიონ სუბტროპიკულიდან, წინა აზიის ზეგანის მშრალ ჰავამდე. ქვეოლქი გამოირჩევა უფრო მშრალი და კონტინენტური ჰავით, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიები. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კიოპენის სისტემის შესაბამისად გამოყოფენ 16 კლიმატურ ქვეზონას.

დასავლეთ საქართველო ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. აქ შეინიშნება რბილი ზამთარი, ნაკლებად ცხელი ზაფხული, ნალექების სიუხვე, მაღალი ტენიანობა, ტემპერატურეს მცირე წლიური ამპლიტუდა, სჭარბობს ზღვის ან ნოტიონ კონტინენტური ჰაერის მასები, დამახასიათებელი შუა და სუბტროპიკული განედებისათვის. დასავლეთ საქართველოში კიოპენის სისტემის შესაბამისად გამოყოფენ 9 კლიმატურ ზონას და ქვეზონას.

იანვრის საშუალო ტემპერატურაა +3^{0}C-დან (კოლხეთი) -2^{0}C-მდე, აგვისტოში კი +23 – 26^{0}C. დასავლეთ საქართველოში, რომელიც ემიჯნება შავ ზღვას, მოდის 1000-დან 2800-მდე (მთაში) მილიმეტრი ნალექი წელიწადში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 300-600 მილიმეტრი.

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *რაში მდგომარეობს ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო რეგულირების არსი (რამდენად არის ამ დარგის მართვა საერთოდ სახელმწიფოს ფუნქცია)?* ----------

6.3 საკურორტო-კლიმატური დარაიონება

საქართველოს საკურორტო-კლიმატურ დარაიონებას საფუძვლად უდევს ჰაერის ვერტიკალური ზონალობის პრინციპები, რომლის მიხედვით გამოიყოფა 4 საკურორტო-კლიმატური ზონა და ქვეზონა. ესენია:

ა) დაბლობი ზონა – (500 მეტრამდე ზღვის დონიდან);
- სანაპირო ზოლის ნოტიო სუბტროპიკული ქვეზონა;
- დასავლეთ საქართველოს დაბლობის ნოტიო და ზომიერად ტენიანი ქვეზონა;
- აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის ზომიერად ნოტიო ქვეზონა;
- აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის ზომიერად მშრალი ქვეზონა.

ბ) დაბალმთიანი ზონა – (500 – 1000 მეტრი ზღვის დონიდან)
- დასავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზომიერად ნოტიო ქვეზონა;
- აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზომიერად მშრალი ქვეზონა;

გ) საშუალო მთიანი ზონა (1000 – 2000 მეტრი ზღვის დონიდან)
- ქვემოწელის საშუალო მთიანი ქვეზონა (1000-1500 მეტრი);
- ზემოწელის საშუალო მთიანი ქვეზონა (1500-2000 მეტრი);

დ) მაღალმთიანი ზონა (2000 მეტრი და მეტი ზღვის დონიდან)
- მაღალმთიანი საქართველოს კლიმატური ქვეზონა.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია შექმნილი დაბალ და საშუალომთიან ზონებში (500-2000 მეტრი), სადაც კონცენტრირებულია სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების უდიდესი ნაწილი.

ეს ზონები ხასიათდება რბილი ზამთრითა და ზომიერად თბილი ზაფხულით. მცენარეულობის ძირითადი ტიპები წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი, შერეული და მუქწიწვოვანი ტყეებით. 700 მეტრზე ზღვის დონიდან ძირითადად მდებარეობენ

ბალნეოლოგიური კურორტები: ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, ტყვარჩელი და სხვა. ზღვის დონიდან 700-1000 მეტრის ფარგლებში – ბორჯომი, საირმე, სურამი; ხოლო ზღვის დონიდან 1000-1500 მეტრის ფარგლებში გვხვდება სამთოკლიმატური კურორტები – აბასთუმანი, წაღვერი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი და სხვა.

საშუალომთიანი ზონის (1500-2000 მეტრი) ზემოწელი ხასიათდება რბილი ზამთრით, ძლიერი და ხანგრძლივი თოვლის საბურველით, ზომიერად გრილი ზამთრით, მზის ნათების დიდი ხანგრძლივობით. ქვემო ზონებისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელში საკურორტო მიზნებისათვის გამოიყენება მხოლოდ გარკვეული ტერიტორიები. დასავლეთ საქართველოს კურორტებიდან ცნობილია – შოვი, ბახმარო, ავადხარა; ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ბაკურიანი და გუდაური.

მაღალმთიანი ზონის (2000 მეტრი და მეტი) გამოყენება სამკურნალო მიზნით ამჟამად არ ხდება. ამ ზონაში მდებარე კურორტებს ძირითადად სხვა ტიპის რეკრეაციული საქმიანობისათვის – სამთო ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის განვითარებისათვის იყენებენ.

მთის კლიმატს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. მაგალითად, ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ სპეციალური პირობებია შექმნილი კურორტ ბაკურიანში. სასუნთქი ორგანოების დაავადებების სამკურნალოდ მიზანშეწონილია დასვენება კურორტ სურამში, ტუბერკულიოზის სამკურნალოდ – აბასთუმანსა და ცემში და ა.შ.

კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სხვადასხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ, ქვეყანაში საკურორტო საქმიანობის განვითარების საფუძველი გახდა.

6.4 საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა

კურორტების შექმნა საქართველოში იწყება XIX საუკუნის I ნახევრიდან. ამავე საუკუნის ბოლოსათვის ათვისებული იქნა კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, აგარაკად იქცა კოჯორი. XIX საუკუნის ბოლოდან იწყება შავი-ზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ათვისება. სოხუმი აღიარებული იქნა მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კლიმატურ კურორტად. აშენებული იქნა საკურორტო კომპლექსი გაგრაში, რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი უდიდესი სანატორიუმი „გულრიფში“; პანსიონატები და აგარაკები აჭარის სანაპიროზე (ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკურორტო რესურსების ათვისების ხარისხი იყო დაბალი, ხოლო დამსვენებელთა სოციალური ბაზა – მეტად შეზღუდული.

მეცნიერულ საფუძველზე საკურორტო საქმის გეგმიური (საბჭოური) განვითარება დაიწყო 1926 წლიდან. რამოდენიმე ხუთწლედში (იმ პერიოდის სტრატეგიული დაგეგმვის სისტემა) საქართველო (ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა თხუთმეტიდან) გადაიქცა „საკავშირო ჯანმრთელობის კერად“, სადაც ისვენებდა და მკურნალობდა ათასობით დამსვენებელი ყველა რესპუბლიკიდან.

ბუნებრივი ფაქტორების ხასიათი და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები განსაზღვრავს სანატორიუმების, პანსიონატებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების სამედიცინო პროფილს.

საქართველოს კურორტებზე მოქმედი სანატორიუმების დიდი ნაწილიერთპროფილიანია. მათ განეკუთვნება კარდიოლოგიური, ნევროლოგიური,

გასტროენტოროლოგიური, ართროლოგიური სანატორიუმები; სხვა საკურორტო სამკურნალო დაწესებულებები ორ და ზოგჯერ სამპროფილიანია, რაც განპირობებულია კურორტებზე სხვადასხვა თერაპიული ზემოქმედების მქონე ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ ზემოქმედება ერთდროულად რამოდენიმე დაავადებაზე.

კურორტებზე სამედიცინო მომსახურება ეყრდნობა მედიცინის, კურორტოლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰიდროგეოლოგიის სფეროში მეცნიერების მიღწევებს. კურორტებზე სამკურნალო დაწესებულებების ძირითადი ტიპია სანატორიუმი, სადაც სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები დიეტურ თერაპიასტან, სამკურნალო ფიზკულტურასთან, ფიზიოთერაპიასთან და მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად.

1986 წლისათვის (საბჭოთა „პერესტროიკის“ პიკი) საქართველოს კურორ-ტებზე იყო 394 სანატორიუმი და საკურორტო დაწესებულება (103 ათასი საწოლი ადგილით), მათ შორის 72 პროფკავშირების დაქვემდებარებაში (დაახლოებით 25 000 ადგილი). ორგანიზებული იყო ბავშვთა საოჯახო დასვენების მრავალი კერა: ბავშვთა სანატორიუმების რაოდენობა შეადგენდა 29-ს, 3.2 ათასი ადგილით. საკუ-რორტო ობიექტებზე დამსვენებელთა რიცხვმა 776.3 ათასს მიაღწია, მაგრამ სინამ-დვილეში ყოველწლიურად საქართველოს კურორტებზე ისვენებდა და მკურნალობ-და დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი.

სამწუხაროდ 90-ანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად მოხდა ტურის-ტულ-საკურორტო ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება, რაც პირველ რიგში გამოწვეული იყო 300 000 იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობის ოპერატიული განთავსების აუცილებლობით და რაც სანატორიუმებისა და კურორტების ხარჯზე მოხდა (ცალკე უნდა აღინიშნოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილის განადგურება თვითონ აფხაზეთში). თუ აღნიშნულთან ერთად გავაანალიზებთ ქვეყანაში შემდეგ განვითარებულ მოვლენებს – ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისი, სამოქალაქო ომი და ა.შ. მივიღებთ დღევანდელ სურათს – ფუნქციის შესატყვისად მეტ-ნაკლებად მოქმედებს მხოლოდ 50-მდე სანატორიუმი და პანსიო-ნატი. ამასთან ერთად დღეისათვის საქართველოში 102 კურორტი და 182 საკუ-რორტო ადგილია, რომელთა ნუსხაც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1998 წლის 30 ნოემბერს (ბრძანებულება №669).

ჩვენი ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია, რის გამოც აღრიცხულია შემდეგი სახის სამედიცინო პროფილის კურორტები:

ა. კარდიოლოგიური;
ბ. პულმონოლოგიური;
გ. ფტიზიატრიული;
დ. ალერგოლოგიული;
ე. ნევროლოგიური;
ვ. გასტროენტეროლოგიური;
ზ. ართროლოგიური;
თ. გინეკოლოგიური;
ი. ნეფროლოგიური;
კ. უროლოგიური;
ლ. დერმატოლოგიური;
მ. პროფილაქტიკური.

შემოწმება (საკონტროლო გვერდი)

განვლილი მასალის გამეორება

1. შეადგინეთ საქართველოს მთიანი რეგიონების თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ჩამონათვალი;
2. შეადგინეთ საქართველოს მაღალმთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ჩამონათვალი;
3. ჩამოაყალიბეთ პრინციპები, რომლის თანახმადაც საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ამა თუ იმ რეგიონის „მაღალმთიანობას“;
4. რა პრინციპული სხვაობაა ჩვენი ქვეყნისა და სხვა (მასალა, რომელსაც გაეცანით) ქვეყნების შეფასებებში „მაღალმთიანობის“ განსაზღვრასთან დაკავშირებით?
5. რას ნიშნავს, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მთიანეთის მიმართ „ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა“?
6. რა არის საჭირო გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად?
7. რა განსაზღვრავს საქართველოს რეკრეაციული პოტენციალის შესაძლებლობებს?

<u>შემოხაზე სწორი პასუხი:</u>

ა. საქართველოს ყველაზე ღრმა წყალსაცავია:
- ჯვრის
- ჟინვალის
- წალკის

ბ. ყველაზე დაბლა ეშვება შემდეგი მყინვარების ენა:
- ჭალათი, ლეხზირი;
- ტვიბერი, დევდორაკი;
- კვიში, გერგეტი.

გ. საქართველოში თითქმის აღარ გვხვდება:
- ზოლებიანი აფთარი და ჯიხვი;
- დომბა და ქურციკი;
- ფოცხვერი და ნიამორი.

დ. საქართველოს სამხრეთი საზღვარი მოუყვება:
- არსიანის ქედს, კარწახის ტბას, ივრის ზეგანს;
- ჭანეთის ქედს, მდ. ფოცხოვისწყალს, მ. დიკლოსმთას;
- ერუშეთის ქედს, ქართლის ვაკეს, მინგეჩაურის წყალსაცავს.

<u>დააწყვილე აზრობრივი „პარტნიორები“</u>

1	დიაპაზონი	?	ნიშანთვისება
2	რეზერვატი	?	სიმაღლის ზომვა
3	ადეკვატური	?	აღდგენა
4	კრიტერიუმი	?	მოცულობა
5	ვეგეტაცია	?	ხალხთაღწერა
6	ჰიფსომეტრია	?	ნაკრძალი
7	დემოგრაფია	?	დახმარება
8	მიგრაცია	?	შესატყვისი
9	რეაბილიტაცია	?	ზრდა
10	სუბსიდია	?	გადაადგილება

შემოწმება (საკონტროლო გვერდი)

სიტუაციის ანალიზი

სიტუაცია: თქვენი, როგორც საქართველოს მოქალაქის, როგორც მომავალი სპეციალისტის მოქალაქეობრივი მოვალეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა იმ რჩევებისა და რეკომენდაციების ანალიზი, რასაც იძლევიან უცხოელი ექსპერტები (ნებისმიერ შემთხვევაში თქვენ უკეთ იცნობთ თქვენს სამშობლოს!). ჩვენს წინაშეა ავტორიტეტული შვეიცარიელი სპეციალისტების მოსაზრებები, თუმცა მაინც თქვენი აზრი გვაინტერესებს:

1. *რამდენად ეთანხმებით ექსპერტების დასკვნას იმის შესახებ, რომ* ***„დეცენტრალიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან თემას საქართველოში“****?*
2. *რამდენად ეთანხმებით ექსპერტების დასკვნას იმის შესახებ, რომ* ***„ნაციონალურ პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღებაში მთიანეთს ჰყავს ლობი“****?*
3. *რამდენად ეთანხმებით ექსპერტების დასკვნას იმის შესახებ, რომ* ***„მთიანეთის ინტერესებს გამომხატველები ძირითადად არიან შესაბამისი რაიონების მაჟორიტარი დეპუტატები და არასამთავრობო ორგანიზაციები“;***
4. *რამდენად ეთანხმებით ექსპერტების დასკვნას იმის შესახებ, რომ* ***„ცხოვრების ჩამოყალიბებული წესის დეგრადაციის, ფასეულობების სისტემის ცვლის, მიგრაციის სტიმულირებისა და მარგინალიზაციის მთავარი მიზეზი არის გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია“****?*

საპროექტო დავალება

ვირტუალური სიტუაცია: თქვენ მთიანი რეგიონის (მაგ.: მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) ხელმძღვანელი ბრძანდებით და იცით (ექსპერტების დასკვნები), რომ თქვენდამი რწმუნებული მხარის განვითარების არსებითი პრიორიტეტი არის „ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების“ დარეგულირება.

შეასრულე ამოცანა ლოგიკური თანმიმდევრობით:

1. *ვის (რომელ ქვეყნებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს) შეეხება, თქვენთან ერთად, თქვენი „ტრანსსასაზღვრო პოლიტიკა“? (ჩამოწერეთ)*
2. *განსაზღვრეთ რა ურთიერთობა არსებობს ამჟამად საზღვრისპირა რეგიონებთან და ქვეყნებთან;*
3. *ჩამოწერეთ რა საახლოებს (ნოვაციებს) ითვალისწინებს ევროპის მთიანი ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის (მაგ.: „ალპური კონვენცია“) თანამედროვე მდგომარეობა;*
4. *ცივილიზებული მსოფლიოს რომელი გამოცდილებაა (პოზიტიური/ნეგატიური) აუცილებლად გასათვალისწინებელი და რატომ?*
5. *საზღვრისპირა ურთიერთობის რომელი ფორმებისა და სახეების დანერგვა (გააქტიურება) იქნებოდა სასარგებლო თქვენი რეგიონისათვის და როგორ?*
6. *თქვენის აზრით როგორ/რით უნდა შეგიწყოთ ხელი სახელმწიფომ (ცენტრალური ხელისუფლება)?*
7. *რას მისცემს თქვენი „ახალი ტრანსსასაზღვრო პოლიტიკა“ ადგილობრივ მოსახლეობას?*

6.5. საკურორტო ზონები და რაიონები

საქართველოს ტერიტორია პირობითად იყოფა შემდეგ საკურორტო ზონებად და რაიონებად:

I – დაბლობი საკურორტო ზონა (500 მ-მდე ზღვის დონიდან)

<u>I-1. სანაპირო ნოტიო სუბტროპიკული ქვეზონა წარმოადგენს შავი ზღვის 4-7 კმ-ის სიგანის სანაპირო ზოლს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. იგი მოიცავს აჭარის, კოლხეთის და აფხაზეთის სანაპირო საკურორტო ზონებს.</u>

კლიმატი ტენიანი სუბტროპიკული, დამახასიათებელია რბილი უთოვლო ზამთარი და ცხელი ზაფხული. იანვრის საშუალო ტემპერატურა 4-7^{0}C-ია, ივლისის – 21-24^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა +13-15^{0}C-ია.

წლის განმავლობაში დამახასიათებელია: მზიანი, ზომიერად ტენიანი და ტენიანი ამინდები, 30-40 დღე ჭექა-ქუხილი, წლის გრილ პერიოდში მატულობს ნალექების რაოდენობა წვიმის სახით. ქარბუქი და სეტყვა არ არის დამახასიათებელი.

მცენარეულობა მდიდარია და მრავალფეროვანი; ჭარბობს როგორც სუბტროპიკული ფოთლოვანი (პალმა, მაგნოლია, ევკალიპტი, დაფნა, თუთა), ასევე სუბტროპიკული წიწვოვანი (კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი და სხვა) ჯიშები.

ქვეზონის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს: ზღვა, პლიაჟი და ჰაერში დიდი რაოდენობის ზღვის წარმოშობის ქიმიური მიკროელემენტები. ქვეზონის კლიმატი აქტიურად გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის და ნერვული სისტემის ფუნქციონალური დარღვევების სამკურნალოდ.

ეს ქვეზონა იყოფა 3 საკურორტო რაიონად:

I-1-ა აჭარის სანაპირო საკურორტო რაიონი;

I-1-ბ კოლხეთის დაბლობის სანაპირო საკურორტო რაიონი;

I-1-გ აფხაზეთის სანაპირო საკურორტო რაიონი;

<u>I-2. დასავლეთ საქართველოს დაბლობი ნოტიო და ზომიერად ნოტიო ქვეზონა მოიცავს კოლხეთის დაბლობსა და დასავლეთ საქართველოს მთისძირა რაიონს.</u>

ეს ქვეზონაც ხასიათდება სუბტროპიკული ჰავით. იანვრის საშუალო ტემპერატურა 4-6^{0}C-ია, ხოლო ივლისის – 21-24^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა +18-20^{0}C-ია. ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 1400-2000 მილიმეტრს.

წვიმების საშუალო გადაუღებელი ხანგრძლივობის პერიოდი 2 დღეა, ხოლო მშრალი ამინდებისა 4 დღე. კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით წლის განმავლობაში ძირითადად მზიანი, ზომიერად ტენიანი ამინდებია. წლის გრილ პერიოდში ხშირია წვიმიანი ამინდები.

ამ ქვეზონაში ძირითადად განლაგებულია ბალნეოლოგიური კურორტები.

აღნიშნული ქვეზონაც 3 საკურორტო რაიონად იყოფა:

I-2-ა კოლხეთის დაბლობის საკურორტო რაიონი;

I-2-ბ აჭარის სანაპიროს მიმდებარე საკურორტო რაიონი;

I-2-გ აფხაზეთის სანაპიროს მიმდებარე საკურორტო რაიონი;

I-3. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი, ზომიერად ნოტიო ქვეზონა მოიცავს ალაზნის ველს.

დამახასიათებელია ფოთლოვანი ტყეები. იანვრის საშუალო ტემპერატურა –1 +1^{0}C-ია, ხოლო ივლისის – 23-26^{0}C. ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 600-800 მილიმეტრს.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით ამ ქვეზონაში სჭარბობს მზიანი და ზომიერად ნოტიო ამინდი. აღნიშნულ ქვეზონას კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა არ გააჩნია.

I-4. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი.

ზომიერად მშრალი ქვეზონა. მისი კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ხასიათდება რბილი ზამთრითა და ძალიან თბილი, ზომიერად მშრალი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა -1 +2^{0}C-ია, ხოლო ივლისის – 23-25^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა +11-13^{0}C-ია. ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 400-500 მილიმეტრს. აქ წარმოდგენილია სტეპისა და ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა და ფოთლოვანი ტყე.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციით ხშირია მზიანი, ზომიერად ნოტიო, მზიანი, ძალიან ცხელი და მშრალი ამინდები. ქვეზონის კლიმატს აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების (ზაფხულის თვეების გარდა), აგრეთვე თირკმელების ქრონიკული დაავადებების (ზაფხულის პერიოდი) სამკურნალო ჩვენებები.

II – დაბალმთიანი საკურორტო ზონა (500-1000 მეტრი ზღვის დონიდან)

II–1. დასავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზომიერად ნოტიო ქვეზონა.

იგი მოიცავს მესხეთის ქედს აჭარის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს კავკასიონის ქედის მთისძირა ნაწილს, რომელიც აღმოსავლეთით ეკვრის კოლხეთის დაბლობს. მცენარეული საფარი წარმოდგენილია – ფოთლოვანი ტყით.

ამ ქვეზონისათვის დამახასიათებელია ზღვის ზემოქმედების შემცირება. კლიმატი ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული რბილი ზამთრით და თბილი, ზომიერად ტენიანი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა -2 +3^{0}C-ია, ხოლო ივლისის – 18-22^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა იცვლება +19-22^{0}C ფარგლებში. ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 1200-1600 მილიმეტრს, რომლის მეტი წილი ზამთრის პერიოდზე მოდის.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციით წელიწადის ოთხივე დროს ჭარბობს მზიანი, ზომიერად ტენიანი და ტენიანი ამინდი. კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა აღნიშნულ ქვეზონაში შეზღუდულია ზაფხულში მაღალი ტენიანობისა და ნალექების სიჭარბის გამო, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ სამი საკურორტო რაიონი:

II–1–ა აჭარის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

II–1–ბ კავკასიონის ქედის განშტოებების ზონაში დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

II–1–გ კოლხეთის დაბლობის მიმდებარე დაბალმთიანი საკურორტო რაიონი.

II–2. აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიანი ზომიერად ნოტიო ქვეზონა მოიცავს თრიალეთის ქედის მთისძირა რაიონებს, ქართლისა და ახალციხის ზეგნებს, აგრეთვე ქ. თბილისის ირგვლივ მდებარე დაბალმთიან საკურორტო ადგილებს.

მცენარეული საფარი წარმოდგენილია ფოთლოვანი და შერეული, ასევე სტეპური მცენარეებით.

კლიმატი ზომიერად მშრალი, რბილი, ზამთარი მცირედ თოვლიანი, ხოლო ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. იანვრის საშუალო ტემპერატურა -3 +10^{0}C -ია, ხოლო ივლისის – 18-23^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა იცვლება +22-24^{0}C ფარგლებში. ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 600-900 მილიმეტრს, რომლის მეტი წილი მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

წლის განმავლობაში ნალექიანი ამინდების რაოდენობა 120-160 დღეა, 25-50 დღე ნისლიანი, 30-50 დღე მოღრუბლული და 2-4 დღე სეტყვა.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით წლის თბილ პერიოდში ჭარბობს მზიანი, ზომიერადნოტიო ამინდი, ხოლო წლის გრილ პერიოდში ხშირია 0 და 0^{0}C -ზე დაბალი ტემპერატურა.

კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა გააჩნია ქვეზონის იმ კურორტებს, სადაც ჭარბობს ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეული საფარი. ამ ქვეზონაშიც 3 საკურორტო რაიონია:

II–2–ა თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

II–2–ბ ქართლისა და ახალციხის ზეგანის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

II–2–გ თბილისის ზონის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი.

III – ქვედა სარტყლის შუამთიანეთის საკურორტო ზონა (1000 – 1500 მეტრი ზღვის დონიდან)

აერთიანებს კავკასიონის ქედის შუამთიანეთის რაიონებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ შუამთიანეთის რაიონებს, ცენტრალურ, თრიალეთის ფერდობის აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს, აგრეთვე მესხეთისა და ლიხის ქედს და კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობს აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში, რომლებიც მდებარეობენ 1000-1500 მეტრზე ზღვის დონიდან.

მცენარეული საფარი ძირითადად წიწვოვანი, ზოგან გვხვდება ფოთლოვანი ტყეები.

საკურორტო ზონა ძირითადად ხასიათდება რბილი, თოვლიანი ზამთრით და ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა –8 –2^{0}C -ია, ხოლო ივლისის – 15-19^{0}C. წლის საშუალო

ტემპერატურა კი –6 –8^{0}C -ია. წლიური საშუალო ტემპერატურული ამპლიტუდა 22-24^{0}C ფარგლებშია.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით აქ წლის თბილი პერიოდი მზიანი, ზომიერადტენიანია, ხოლო წლის გრილ პერიოდში მზიანი ამინდია ჰაერის ტემპარატურით 0 და 0^{0}C -ზე დაბლა.

კლიმატი შუამთიანეთის ზონაში ხასიათდება მაღალი თერაპევტული თვისებებით და ძირითადად გამოიყენება სუნთქვის ორგანოების დაავადებების სამკურნალოდ. ზონა იყოფა შემდეგ საკურორტო რაიონებად:

III–ა დასავლეთ საქართველოს კავკასიონის შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

III–ბ აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

III–გ თრიალეთის, მესხეთისა და ლიხის ქედების ჩრდილო-დასავლეთის ფერდობების შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

III–დ თრიალეთის ქედის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

III–ე სამხრეთ საქართველოს მთიანეთის შუამთიანეთის საკურორტო რაიონი.

IV – ზემო სარტყლის შუამთიანეთის საკურორტო ზონა (1500-2000 მეტრი ზღვის დონიდან)

<u>მოიცავს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს იმ კურორტებს, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრზე.</u>

მცენარეული საფარი წარმოდგენილია ძირითადად წიწვოვანი და სუბალპური მცენარეებით.

საკურორტო ზონა ხასიათდება ზომიერად რბილი, თოვლიანი ზამთრით და ზომიერად გრილი, მშრალი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა –10 –3^{0}C-ია, ხოლო ივლის-აგვისტოსი – 10-15^{0}C. წლიური საშუალო ტემპერატურა 0 –5^{0}C-ია.

კლიმატის კომპლექსური კლასიფიკაციის მიხედვით წლის თბილი პერიოდი მზიანი, ზომიერადტენიანი და წვიმიანია, ხოლო წლის გრილ პერიოდში ხშირია ჰაერის 0 და 0^0-ზე დაბალი ტემპარატურა.

აღნიშნული ზონის კლიმატი გამოიყენება სასუნთქი სისტემების დაავადებების სამკურნალოდ, სისხლის მიმოქცევის უკმარისობის შემთხვევაში. ამ ზონაში მოქცეულია:

IV–ა დასავლეთ საქართველოს შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

IV–ბ აღმოსავლეთ საქართველოს შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

IV–გ სამხრეთ საქართველოს შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. *რა სახის „ცეცხლოვანი პროდუქტით“ სარგებლობს ჯანმრთელობის გასაკაქმლად (რეკრეაციას) ჩამოსული დღეკანდელი: ა) უცხოელი ტურისტი, ბ) ადგილობრივი დამსვენებელი?* ---------
---

6.6 ჰიდრომინერალური რესურსები

საქართველოს რეკრეაციულ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მრავალრიცხოვან მინერალურ წყაროებს, რომელთა არსებობა და სიუხვე გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის სპეციალიზაციას. მინერალური წყაროების მაღალი ბალნეო-თერაპიული თვისებების შერწყმა ბუნების განსაკუთრებულ სილამაზესთან და მრავალფეროვნებასთან, ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა საქართველო ტურიზმისა და კურორტების ქვეყანად იქცეს.

საქართველოს ჰიდრომინერალური რესურსები გამოირჩევა წყლების ქიმიური შემადგენლობისა და ფიზიკური თვისებების დიდი მრავალფეროვნებით; ცალკეული წყაროებისა და დიდი გამოსავლიანობის (დებეტის) მქონე მსხვილი კერებით. ისინი განსხვავდებიან აირნაჯერობის, საერთო მინერალიზაციის, ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტების შემადგენლობისა და სხვა ხარისხით. მინერალური წყლების აღნიშნული სიჭრელე გამოწვეულია გეოლოგიურ-ჰიდროლოგიური და სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორების გარკვეული ურთიერთქმედებით.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 3 მსხვილ ოროგრაფიულ ერთეულად: ა) დიდი კავკასიონი, ბ) მცირე კავკასიონი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, გ) მთათაშორისი ღრმულების არე.

განსხვავებას გამოყოფილი გეოტექტონიკური ერთეულების სტრუქტურისა და მორფოლოგიური თავისებურებების ხასიათში, მათში მიმდინარე რთულ გეოქიმიურ პროცესებს, მთის ქანებისა და მიწისქვეშა წყლების ხანგრძლივ ურთიერთზემოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული კომპონენტების კონცენტარციის ზრდას, შედეგად მოჰყვება ღრმა ცვლილებები სიღრმეში გაჟონილი მტკნარი ზედაპირული წყლების შემადგენლობაში. მეტამორფოზმის პროცესი საგრძნობლად ძლიერდება ნახშირორჟანგის ჭარბი რაოდენობის არსებობისას.

სიღრმული თერმომეტამორფული პროცესების წყალობით, რომლის ერთ-ერთ პროდუქტს წარმოადგენს ნახშირორჟანგი, საქართველოს მთიან-ნაოჭა არეებში ფართოდაა გავრცელებული ნახშირორჟანგის შემცველი მინერალური წყლები.

მთათაშორისი დეპრესიის საზღვრებში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს მიწისქვეშა მინერალური წყაროების წარმოქმნაზე, უნდა ჩაითვალოს გეოქიმიური პროცესები, რის შედეგადაც წარმოიქმნება უპირატესად სულფიდური, მეთანური და აზოტ-მეთანური მინერალური წყლები.

აირის შემცველობის თვალსაზრისით ყველაზე მეტად გავრცელებულია ნახშირორჟანგის შემცველი წყლები, ასევე სულფიდური, მეთანური, აზოტოვანი და მეთან-აზოტოვანი მინერალური წყლები.

არსებული მონაცემებით მინერალური წყაროების საერთო რაოდენობა 2000-ზე მეტია, აქედან 1700-ზე მეტი ბუნებრივი გამოსავლითაა, ხოლო 300-მდე – ჭაბურღილით. მათი სადღეღამისო ჯამური დებიტი 130 მილიონ ლიტრზე მეტია. მინერალური წყლების რესურსების საერთო რაოდენობის 50%-ს შეადგენს ნახშირორჟანგიანი წყლები.

მინერალური წყლები მინერალიზაციის მიხედვით იყოფა: მტკნარ (1 გრამი მარილი 1 ლიტრში), მინერალურ (1-50 გრამი მარილი 1 ლიტრში) და მარილწყლიან (50 გრამზე მეტი მარილი 1 ლიტრში); ხოლო სითბოს შემცველობის მიხედვით:

სუბთერმულ (20^0C-37^0C-მდე), თერმულ (37^0C-42^0C-მდე) და ცხელ, ანუ ჰიპერთერმულ (42^0C-ზე მეტი) წყაროებად.

მინერალური წყლები წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლ-ძარღვთა, ნერვული, ძვალკუნთოვანი სისტემების, კანისა და სხვათა სამკურნალოდ. მრავალი წყაროს ნახშირორჟანგიანი წყლები ბოთლებში ჩამოისხმება, როგორც სამკურნალოდ და როგორც სუფრის წყლებად (დაბალი მინერალიზაციით): „ბორჯომი“, „უწერა“, „საირმე“, „ნაბეღლავი“, „ზვარე“ და ა.შ.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების განლაგება განპირობებულია ეგრეთწოდებული გეოტექტონური ზონების სტრუქტურულ-გეოლოგიური და ჰიდროქიმიური თავისებურებებით. მაგალითად:

- დიდი კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედისა და სამხრეთის ფერდობის ფარგლებში გვხვდება ცივი, უმთავრესად ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ტიპის მინერალური წყლები: ნარზანი (საკენი, ლებარდე, ქვედილაში, შგვედი, ყორულდაში, მუაში, შოვი, ედისა, კობი და სხვა. მცირე კავკასიონის საზღვრებში – კოკოტაური, დანისპირული პლატე, საირმე, წაღვერი, ბოლნისი და სხვა; ბორჯომის ტიპის – ავადჰარა, უწერა, ძეგლევი, შეუბანი, ბეგიათა, ბორჯომი, საირმე, ნაბელავი; ესენტუკის ტიპის – სორთუანი, ჯავა, ბაგიათა, ხანდო, ფასანაური, ვაჟას წყარო და სხვა);
- საქართველოს მთათაშორისი დაბლობი რაიონებისათვის, რომელიც მდებარეობს დიდი კავკასიონის სამხრეთით, კოლხეთის დაბლობიდან შიდა კახეთამდე, დამახასიათებელია როგორც ცივი, ასევე თერმული (ზოგან ჰიპერტერმული) უნახშირორჟანგო სულფიდურ-მეთანიანი და აზოტიან-მეთანიანი, ქლორიდული ან სულფატური წყლები; მათი უმრავლესობა სუსტად სულფიდურია, უპირატესად სუბთერმული და თერმული. მრავალი მათგანის ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტები და ბალნეოსამკურნალოები (ნაწილი ახლაც გადარჩენილია) – მენჯი, ცაიში, გაგრა, სოხუმი, ოქტომბერი, უჯარმა, თბილისი, სულორი, ნუნისი და სხვა.
- აჭარა-თრიალეთის სისტემისა (სამხრეთ საქართველოს მთიანეთი) და სომხეთის ზეგანის მახლობლად გავრცელებულია როგორც ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ან ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ასევე სუსტი სულფიდური აზოტოვანი სულფატურ-ქლორიდული ან კარბონატულ-ბიკარბონატული (ცივი და თერმული) წყლები.

გარკვეული კანონზომიერება აღინიშნება აგრეთვე საქართველოში ყველაზე გავრცელებული ნახშირმჟავა წყლების სხვადასხვა სახეობების განაწილებაშიც. დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ხდება წყლის უფრო ინტენსიური ცვლა, ჭარბობს ნარზანის ტიპის ნახშირმჟავა წყლები; უფრო სამხრეთით გვხვდება ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი (ბორჯომის ტიპის), ხოლო კიდევ უფრო სამხრეთით, სადაც წყლის ცვლა შენელებულია, ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული წყლები შეიმჩნევა და თანდათანობით მატულობს ქლორიდები; ე.ი. ადგილი აქვს ე.წ. ესენტუკის ტიპის წყლების ფორმირებას.

დღეისათვის ინტენსიურად გამოიყენება ძირითადად ის მინერალური წყაროები, რომლებიც მთათაშორის ბარისა და დაბალმთიან რაიონებში მდებარეობენ, სადაც სატრანსპორტო ქსელი უკეთესადაა განვითარებული. სწორედ აქ მდებარეობს ბალნეოლოგიური და ბალნეო-კლიმატური პროფილის მქონე კურორტები: ბორჯომი, უწერა, წყალტუბო, მენჯი, სურამი და სხვა.

სატრანსპორტო მიღწევადობა ხელს შეუწყობდა ჰიდრორესურსების შემდგომ ათვისებასაც, როგორც ძველი კურორტების განვითარების გზით, ასევე ფაქტიურად ახალი კურორტების შექმნით, როგორებიცაა – უჯარმა, სიმონეთი, ნასაკირალი და სხვა.

„ბორჯომის“ წყლის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ ის „ხელახლა“ 1825 წელს შეშის დამზადებაზე მომუშავე ჯარისკაცებმა „აღმოაჩინეს“. იგი მაშინვე მოექცა რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების ყურადღების ცენტრში და უკვე XIX საუკუნის ბოლოსათვის ბორჯომი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბალნეოლოგიურ კურორტად ითვლებოდა.

საქართველოში მინერალური წყლის ჩამოსხმა XX საუკუნის დასაწყისიდან წარმოებს. 70-ანი წლების შუახანებში საქართველოში ჩამოისხმებოდა 18 დასახელების მინერალური წყალი; ისხმებოდა რამოდენიმე ასეული მილიონი ბოთლი „ბორჯომი“ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და მსოფლიოს რამოდენიმე ათეულ სახელმწიფოში იგზავნებოდა. ამჟამად მდგომარეობა დიამეტრალურად შეცვლილია: ბოლო წლებში მოჭარბებულია ფალსიფიცირებული პროდუქტის წარმოება. ვითარება ნელ-ნელა იცვლება. ცალკეული გაანგარიშებებით, მინერალური წყლის „ბორჯომი“ დებიტის სრული ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩამოესხას 1 500 მილიონი ბოთლი. ეს უზრუნველყოფდა 17-19 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას და 100-120 მილიონი დოლარის შემოსვლას ქვეყნის ბიუჯეტში.

6.7 ჰიდრო რესურსები

საქართველოს ტერიტორიის ატრაქციულობას მეტად ამაღლებს ისეთი რეკრეაციული რესურსების სიუხვე, როგორიცაა მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ჩანჩქერები და სხვა. ქვეყნის ჰიდრორესურსებს რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებისათვის მაღალი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია.

მდინარეთა ქსელი არათანაბრადაა განაწილებული. სულ 25 075 მდინარეა, აქედან 17 ათასზე მეტი დასავლეთ საქართველოშია, 7 649 აღმოსავლეთ საქართველოში. მდინარეთა უმეტესობას (24 937) 25 კმ-ზე ნაკლები სიგრძე აქვს, 121 მდინარეს – 25-100 კმ., ხოლო 16-ს – 100-500 კმ.

საქართველოს მდინარეები მიეკუთვნება შავი და კასპიის ზღვების აუზებს. კასპიის აუზს ეკუთვნის მდინარე მტკვარი მრავალი შენაკადით: მარცხენა შენაკადები – დიდი ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი და ალაზანი; მარჯვენა შენაკადები – ფარავანი, ფოცხოვისწყალი, ალგეთი, ხრამი; თერგი, ასა, არღუნი, ანდაქი, თუშეთის ალაზანი, პირიქითის ალაზანი და სხვა. შავი ზღვის აუზს ეკუთვნის: რიონი, ენგური, კოდორი, აჭარისწყალი, ბზიფი, ჭოროხი, ცხენისწყალი, ხობი, ყვირილა, სუფსა, ტეხური, ნატანები, ღალიძგა, ჯეჯორა, კინტრიში და სხვა.

საქართველოს მდინარეები საზრდოობს მყინვარის, თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. მყინვარული ჩამონადენის წლიური ჯამი 0.9 კმ^3-ია. მდინარეთა უმეტეს ნაწილს ასაზრდოებს თოვლისა და მიწისქვეშა წყლები. თოვლის წყლით საზრდოობა მატულობს ადგილის სიმაღლის მიხედვით და მაღალ ნაწილში წლიური ჩამონადენის 60-70%-ს შეადგენს. მიწისქვეშა წყლები კავკასიონზე, ჩვეულებრივ, დაბალიდან საშუალომთიანი ნაწილისაკენ მატულობს და 30-40%-ს აღწევს. საქართველოს სამხრეთ მთიანეთში მიწისქვეშა წყლები 40%-მდე აღწევს, მდ. ფარავნის აუზში კი წლიური ჩამონადენის ნახევარზე მეტიცაა.

საქართველოს ტერიტორიაზე წლის განმავლობაში 56.9კმ^3 წყალი ჩამოედინება. წყლის რესურსები არათანაბრადაა განაწილებული. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ჩამონადენია 49.8 კმ^3, აღმოსავლეთის – 16.5 კმ^3. ყველაზე წყალუხვია მდ. რიონი. დანარჩენი მდინარეებიდან აღსანიშნავია მტკვარი, ენგური, კოდორი, ბზიფი, ცხენისწყალი, ყვირილა, ლიახვი, არაგვი, ქცია-ხრამი, ალაზანი და სხვა.

საქართველოში 860-მდე ტბაა. უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბათა საერთო ფართობი 170 კმ^2-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0.24%). სიმცირის მიუხედავად საქართველოს ტბები მრავალფეროვანი გენეზისით გამოირჩევა. აქ არის ტექტონიკური, მყინვარული (ყველაზე მეტი), მდინარეული, სანაპირო, კარსტული, სუფოზიური, შეგუბებული, მეწყერული და ბოლოს ანთროპოგენური ტბები. გამოიყოფა დონეთა რეჟიმის 4 ტიპი: 1. კავკასიონის დაბალი და საშუალომთიანი ზონის ტბები, რომელთა დონე მაქსიმუმს აღწევს მაის-ივნისში, მინიმუმს – თებერვალ-მარტში; 2. საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ტბები, მაქსიმალური დონე მაისში, მინიმალური – სექტემბერში; 3. კოლხეთის დაბლობის ტბები, მათი დონეთა ცვალებადობა მთელი წლის განმავლობაში წვიმებითაა გამოწვეული; 4. მტკვარ-ალაზნის მთათაშორისი დეპრესიის ტბები, დონეთა მაქსიმუმი გაზაფხულ-ზაფხულში და მინიმუმი შემოდგომაზე.

ყველაზე დიდი ტბებია ფარავანი (37კმ^2) და პალიასტომი (17.3 კმ^2), ყველაზე ღრმაა რიწის ტბა (101 მ.) და ამტყელი (72 მ.), ყველაზე დიდი მოცულობის - ტაბაწყური (221.0 მლნ. მ^3).

მდინარეთა მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა დაიგეგმოს სხვადასხვა კატეგორიის სირთულის სპორტული მარშრუტები. სამდინარო ტურიზმს, ისევე როგორც ტურიზმის სხვა სახეობებს, დიდი მომავალი აქვს. ამ კუთხით კარგი შესაძლებლობები გააჩნიათ მდინარეებს: მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, ცხენისწყალი და ა.შ.

საქართველოს ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების უმრავლესობა მთიან ზონაში, ტყისა და სუბალპური ლანდშაფტის გარემოცვაში მდებარეობენ და დროთა განმავლობაში შეიძლება რეკრეაციისა და ტურიზმის მსხვილ ობიექტებად გადაიქცნენ. აფხაზეთის ომამდე ინტენსიურად მხოლოდ რიწის ტბა გამოიყენებოდა, რომელსაც ყოველწლიურად 1.5 მილიონი ტურისტი (შიდა, გარე) ნახულობდა. დამსვენებელთა რაოდენობით გამოირჩეოდა თბილისის წყალსაცავი (ზღვა), სადაც უქმე დღეებში რამდენიმე ათასი კაცი ისვენებდა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ ლისისა და კუს ტბებსაც, განსაკუთრებით ზაფხულში.

ტურისტული კუთხით კარგი პერსპექტივები აქვს ამტყელის, ყელის, ერწოს, ბაზალეთის ტბებს. სამხრეთ საქართველოში იმავე მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას ფარავნისა და ტაბაწყურის ტბები. ფართო გამოყენების პერსპექტივა აქვთ სიონის, ჯვრის, შაორის და ჟინვალის ხელოვნურ წყალსაცავებს; აბაშისა (ზღვის დონიდან 960 მეტრი) და გეგის (ზღვის დონიდან 650 მეტრი) ჩანჩქერებს. კლიმატის პირობებში ტბები და წყალსაცავები დასვენების იდეალურ პირობებს ქმნიან და მათი სათანადოდ კეთილმოწყობის პირობებში, დიდი მოგებისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. საქართველოს რეკრეაციული რესურსების მაჩაჩე რა სახის „ცურისცული პროდუქციის“ ფორმირებაა შესაძლებელი და როგორი პრიორიტეტულობით? ----------

6.8 შავი ზღვა როგორც რეკრეაციული რესურსი

საქართველოს 330 კილომეტრიანი შავიზღვისპირა ზოლი ხელსაყრელი კლიმატური პირობებითა და კეთილმოწყობილი პლაჟებით მნიშვნელოვანი რეკრეაციული რესურსია. ცურვის სეზონი საქართველოს ტერიტორიაზე ივნისის თვეში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. პიკის პერიოდია ივლისი-სექტემბერი, როცა წყლის ტემპერატურა მაქსიმალურად უახლოვდება ადამიანის ორგანიზმის ტემპერატურას. საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთადერთი უარყოფითი კლიმატური მახასიათებელია ზაფხულში ჰაერის შედარებითი მაღალი ტენიანობა. 4-10 კილომეტრის სიგანის სანაპირო ზოლი, მეტნაკლებად კომფორტული პლაჟებით, გაჭიმულია სარფიდან ვიდრე ნატანებამდე; შემდეგ – აფხაზეთის ტერიტორიაზე – ლესელიძემდე.

შავიზღვისპირეთის ესთეტიკურ ფასეულობებს ამაღლებს აგრეთვე მდიდარი მცენარეული საფარი; მთიანი და ზღვისპირა ლანდშაფტების ეფექტური შერწყმა; ასევე ჰიდრო-მინერალური რესურსების გამოყენების ფართო შესაძლებლობები. შესანიშნავი კლიმატური პირობების მქონე შავიზღვისპირეთი წარმოადგენს კურორტების განვითარების უმნიშვნელოვანეს ზონას. ამ ზონაში განლაგებულია ძირითადად კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები: გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ურეკი, ციხისძირი და სხვა (თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია არ ხორციელდება, რაც სერიოზული პრობლემაა როგორც ქვეყნისათვის საერთოდ, ასევე ტურიზმისა და რეკრეაციული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საქმეში).

კლიმატი აქ ნოტიო სუბტროპიკულია რბილი ზამთრითა და ხანგრძლივი ცხელი ზაფხულით. ზღვაში ბანაობის სეზონი გრძელდება 5-6 თვე. კლიმატური თერაპია მაღალეფექტური თითქმის მთელი წლის მანძილზე. ზღვის ჰავა წარმატებით გამოიყენება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ორგანოების დაავადებათა, ნერვული სისტემების ფუნქციური დარღვევების სამკურნალოდ, აგრეთვე დასვენებისათვის, აღნიშნული დაავადებების პირველადი და მეორადი პროფილაქტიკისათვის.

დიდი პერსპექტივა გააჩნია ურეკი-გრიგოლეთის ზოლს. მისი ძირითადი საკურორტო რეკრეაციულ-ტურისტული ფაქტორებია: ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, მზის ნათების ხანგრძლივობა, ჰაერის ინტენსიური ვენტილაცია, ზღვის დაბალი ფსკერული დონე და, რაც მთავარია, მაგნიტური ქვიშით აგებული ვრცელი პლაჟი. პლაჟის ქვიშა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მაგნიტურ რკინას, რაც მიჩნეულია საუკეთესო სამკურნალო ფაქტორად. იგი გამოიყენება სისხლის მიმოქცევის ორგანოთა, ნერვული სისტემისა და სუნთქვის ორგანოთა დაავადებების სამკურნალოდ. მაგნიტური ქვიშით მკურნალობენ ჰიპერტონიით დაავადებულებიც.

შავი ზღვა თითქმის ჩაკეტილი ეკოსისტემაა, ხასიათდება უნიკალურობითა და მრავალფეროვანი ბიორესურსებით. 1960 წელს ზღვაში აღირიცხებოდა სარეწი მნიშვნელობის 24 სახეობის თევზი. უკანასკნელ ათწლეულებში ზღვის დაბინძურებისა და უკონტროლო თევზჭერის გამო მარაგებმა საგრძნობლად იკლო და სარეწი მნიშვნელობაც მხოლოდ 3-4 სახეობას შემორჩა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში განხორციელებული პროექტების (ბაქო-სუფსის ტერმინალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰდენიზი-თბილისი ევროპა გაზსადენი და ე.წ. „ევრო-აზიური კორიდორის“ სხვა პროექტები) ერთ-ერთი სერიოზული შედეგი არის შავი ზღვის პორტების დატვირთვის ზრდა, რაც, შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს მისი ძალზე მყიფე ეკოსისტემისათვის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ჩამდინარე წყლების მდგომარეობას, მდ. ჭოროხის პრობლემას (თურქული ენერგეტიკული კასკადის გამო), აჭარა-ფოთის ზონაში სამრეწველო აქტივობის პერსპექტივებს და მრავალ სხვა, თანამდევ, მოვლენას, რაც ერთი მხრივ ძალზე კარგია, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ ზღვის, როგორც რეკრეაციული რესურსის დაკარგვის პერსპექტივა, თუ თანამედროვე მოთხოვნათა დონესე არ იქნება გათვალისწინებული გარემოს დაცვის საკითხები.

6.9 სამკურნალო ტალახები

საქართველო მდიდარია სამკურნალო ტალახებითაც. წარმოშობის მიხედვით სამკურნალო ტალახები იყოფა რამდენიმე ძირითად ჯგუფად: დანალექი (ლამიანი), ბორცვის, საპროპელის და ტორფის.

დანალექი ტალახები უპირატესად მინერალური (მარილიანი) ზღვისპირა და ტბების ლამიან დანალექებს წარმოადგენენ. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ გახსნილ მინერალურ ნივთიერებებს და მყარ ნაწილაკებს. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია რამდენიმე ტბა, რომელთა ფსკერზე არის ჰუმუსოვანი ნივთიერებებით მდიდარი ტალახი, რომელიც გამოსადეგია ბალნეოლოგიური მიზნებისათვის. ყველაზე მეტად ცნობილია კუმისის ტბის სულფიდური ლამიანი ტალახის საბადოები, აგრეთვე გლდანის, ჯვრის და სხვა ტბების რესურსი. სამწუხაროდ მათ გამოყენებას სტიქიური ხასიათი აქვს.

საპროპელას ტალახი ძირითადად ორგანული წარმოშობისაა, ლამიანი დანალექებია და წარმოიქმნება მტკნარ ან დაბალი მინერალიზაციის ტბებში. ისინი გვხვდება პალიასტომისა და ინკეთის ტბებში.

ტორფის ტალახები წარმოიქმნება ჭაობიან ადგილებში, ნესტის სიჭარბისა და ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში, მცენარეების დაშლის შედეგად.

ბორცვის ტალახები კი – ტალახის ვულკანების, ბორცვისა და სხვა წარმონაქმნების შედეგია. მათში ცოტაა ორგანული ნივთიერებები და მომატებულია ზოგი ქიმიური ელემენტის (ბრომი, იოდი, ბორი) შემცველობა. ბორცვული ტალახების ყველაზე მნიშვნელოვან საბადოს წარმოადგენს ახტალის ბორცვები, მის ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტი ახტალა. ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებები დიდი ხნის წინათვე იყო ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მას მოიხსენიებს ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, აგრეთვე ისტორიკოსი პ. იოსელიანი და ექიმი ა. მესხიშვილი. ტალახის ბორცვები მდებარეობს ტაფობში, რომლის ფართობი 4-5 ჰექტარია. აქ აღინიშნება ტალახის 9 ძირითადი გამოსავალი, რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია და სხვადასხვა დროს მოქმედებენ. როდესაც ერთი გამოსავალი აქტიურდება, სუსტდება ან სრულიად წყვეტენ მოქმედებას დანარჩენები. უმრავლეს შემთხვევაში ერთდროულად 3-4 ბორცვი მოქმედებს. ტალახის დღე-ღამური დებეტი 37-47 კუბურ მეტრს უდრის; ახლად ამოსული ტალახის ტემპერატურა 14^0 – 18^0C-მდე მერყეობს.

ახტალის ტალახი არაორგანული წარმოშობისაა, ნაცრისფერია და თხიერი კონცისტენცია აქვს. კურორტი 9 თვის განმავლობაში ფუნქციონირებს და

გამოიყენება საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

6.10 გეოთერმული რესურსები

საქართველოს გეოთერმული ასოციაციის მონაცემებით, ამჟამად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30-108^{0}C ტემპერატური მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავალი. მათი ჯამური დებიტი 160 000 კუბურ მეტრს შეადგენს დღე-ღამეში. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგნოზული მარაგები შეადგენს 350-400 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამავე ასოციაციის მონაცემებით, გეოთერმული რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დაიზოგოს 2.5 მილიონი ტონა პირობითი საწვავი, რასაც თავის თავად კოლოსალური ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მოტანა შეუძლია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ატმოსფეროში „გამოსროლილი“ ნახსირორჟანგის რაოდენობა 1.2 მილიონი ტონით შემცირება(!).

კითხვები თემასთან დაკავშირებით (განსაზღვრე/დაამტკიცე)

1. რა განსაზღვრავს საქართველოს ეკოტურისტულ პოტენციალს? ----------

6.11 ალპინიზმი და სპელეოლოგია

საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები კარგ პირობებს ქმნიან ალპინიზმის, სამთო ტურიზმისა და სპელეოტურიზმის განვითარებისათვის. შესაბამისი პირობები არსებობს სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისათვის. კერძოდ: თოვლის მყარი საფარის სისქე 30 სმ-ზე მეტი (50-60 სმ.), ხანგრძლივობა კი 75 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს. მთის კალთების დახრილობა 15-20^0-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს, ხოლო ტრასის სიგრძე 500 მეტრიდან 2-3 კილომეტრამდემ უნდა იყოს. საქართველოში შესაბამისი პირობები აქვს ბორჯომს, ბაკურიანს, გუდაურს, ბახმაროს, სვანეთს, ხევსურეთს და ა.შ.

ალპინიზმის განვითარების საუკეთესო პირობებია ზემო სვანეთის რეგიონში, სადაც თავმოყრილია მწვერვალები – უშბა, შხარა, თეთნულდი და სხვა. დიდი რესურსული პოტენციალი გააჩნია ონის, ყაზბეგის, დუშეთის, ახმეტისა და ლენტეხის რაიონებს.

საქართველოში რამდენიმე კარსტული მღვიმეა. ისინი განლაგებულია კავკასიონის დასავლეთ ნაწილის საშუალო მთიან ზონაში: აფხაზეთიდან – წყალტუბომდე.

ეს მღვიმეები თავისი ესთეტიკური და ამასთან ერთად სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდებიან ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მღვიმეებს. საქართველოში მხოლოდ ორი მღვიმეა კეთილმოწყობილი. ესენია

ახალი ათონის და სათაფლიის. ასევე დიდი პერსპექტივები გააჩნია ცუცხვათის (ტყიბულის რაიონი), ტობის (მარტვილის რაიონი), აბრკოლის (ოჩამჩირის რაიონი) და სხვა. თითოეული მათგანი შეიძლება გადაიქცეს სპელეოტურიზმის პოპულარულ ცენტრად.

კარსტულ მღვიმეებს სამკურნალო მიზნებისთვისაც იყენებენ, განსაკუთრებით ბრონქიალური ასთმის, ჰიპერტონიის და ნერვული დაავადებების სამკურნალოდ.

სპელეოთერაპიის სფეროში გამოკვლევებმა გამოავლინა ამ ახალი ტიპის მკურნალობის ფართო პერსპექტივები, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც მდიდარია კარსტული მღვიმეებით.

6.12 ტყის საფარი

განსაკუთრებულ რეკრეაციულ რესურსს წარმოადგენს ბუნებრივი ტყეები და ტყეპარკები. უკანასკნელ პერიოდში მეტად გაიზარდა ტყეების რეკრეაციული მნიშვნელობა. სტრესები იწვევს ადამიანში ბუნებაში განტვირთვის მოთხოვნილებებს. აქ უპირველესი როლი ტყეს ენიჭება. ტყე თავისი უნიკალური თვისებებით დიდ გავლენას ახდენს საცხოვრებელ გარემოსა და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმზე (მაგალითად: დადგენილია, რომ 1 ჰექტარი ტყე 1 წლის მანძილზე შთანთქავს 5-10 ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 10-20 ტონა ჟანგბადს; ანუ 1 ჰექტარი ტყე, წლის განმავლობაში, ასუფთავებს 18 მილიონ კუბომეტრ ჰაერს და მას 30-60 ტონა მტვერს აცლის).

ტყეში იქმნება თავისებური კლიმატი ზამთრობით. ძლიერი ყინვისას ჰაერის ტემპერატურა ტყეში ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ახლომდებარე ტერიტორიაზე; ხოლო ზაფხულში, ცხელ ამინდში, ტყეში საგრძნობლად გრილა, ვიდრე მინდორში. ტყე ასუსტებს ქარის სიჩქარეს და ცვლის მზის რადიაციას.

საქართველოს ტყეებს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თითქმის 40% უკავია, მაგრამ ისინი არათანაბრადაა განაწილებული. ტყის ძირითადი მასივები განლაგებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებსა და საქართველოს სამხრეთ მთიანეთში.

საქართველოს ტყეებში 300-ზე მეტი ჯიშის ხე-მცენარეს ითვლიან, რომელთა შორის ფართო გავრცელებით გამოირჩევა მუხა, რცხილა, კავკასიური სოჭი, წიფელი, აღმოსავლეთის ნაძვი, კავკასიური ფიჭვი. არის ისეთი ძვირფასი ჯიშებიც, როგორიც არის თელა, ნეკერჩხალი, იფანი, ბზა და სხვა. ტყის რესურსებს მიეკუთვნება აგრეთვე სოკო, კენკრა, კაკალი და სხვა. აღნიშნულ მცენარეულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიტარულ-ჰიგიენური და საკურორტო-რეკრეაციული თვალსაზრისით.

ადამიანი უძველესი დროიდან იყენებს ტყეს რეკრეაციული მიზნებისათვის. ამ დროს მნიშვნელოვანია როგორც ტყის გამაჯანსაღებელი და ესთეტიკური ზემოქმედება დამსვენებელზე, ისე დამსვენებელთა რეკრეაციული ზემოქმედებაც ტყეებზე, რასაც ზოგჯერ უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები მოაქვს.

საქართველოს ტყეები, რომლებიც რეკრეაციული მიზნებისათვის გამოიყენება, ფუნქციური დანიშნულებისაა და ხასიათის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად:

- ტყეები, სადაც ორგანიზებული და რეგულირებული დასვენებაა დაგეგმილი (ნაკრძალები, აღკვეთილები);

– ტყეები, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენება რეკრეაციული საქმიანობისათვის, სადაც დასვენება დაგეგმილია, ორგანიზებულია, მაგრამ არ არის რეგულირებული (ტყე-პარკები, მწვანე ზოლების ნაწილები, ეროვნული პარკები);

– ტყეები, სადაც მასიური დასვენება და რეკრეაციული საქმიანობა არც ორგანიზებულია და არც რეგულირებული.

მეორე და მესამე ჯგუფის ტყეები დღეისათვის რეკრეაციულ ფუნქციას სტიქიურად ასრულებენ, ამიტომაც ისინი სრულყოფილად არ ასრულებენ მოთხოვნებს.

დამსვენებლები და ტურისტები ტყეს სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებენ: სამკურნალოდ, სანადიროდ, გასეირნებისათვის, ლაშქრობისათვის და ა.შ. ყველა აღნიშნული სახეობა რეკრეაციულ საქმიანობას მიეკუთვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასვენების მიზნით ხორციელდება და არ წარმოადგენს საწარმოო საქმიანობას ან რეწვის საგანს.

გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით 1966 წლის მარტში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა შეიმუშავა კონსერვაციის პროგრამის საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

სახელმწიფო ნაკრძალი – დაარსება ხდება კონკრეტული ტერიტორიის დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით;

ეროვნული პარკი – იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის შედარებით მსხვილი ეკოსისტემის დაცვის მიზნით, აგრეთვე მეცნიერული კვლევის, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის;

ბუნების ძეგლი – შეიძლება დაარსდეს შედარებით მცირე, მაგრამ უნიკალური ტერიტორიის ან ობიექტის დაცვის მიზნით;

აღკვეთილი – დანიშნულებაა ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაცოცხალი ობიექტების შენარჩუნება;

დაცული ლანდშაფტი – იქმნება მაღალი ესთეტიკური ღირსების ბუნებრივი ან ადამიანის მონაწილეობით შექმნილი ლანდშაფტის დაცვის მიზნით რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის;

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – დაარსება დაკავშირებულია განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებულ სამეურნეო საქმიანობასთან.

როგორც ვხედავთ, დაცული ტერიტორიების ახლებური სისტემა გამოირჩევა საინტერესო მრავალფეროვნებით. ზოგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული, შედარებით დიდი ტერიტორია აერთიანებს დაქვემდებარებულ ზონებს და მცირე ზომის დაცულ ტერიტორიებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი სისტემა რეგიონის (ადგილობრივი) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებსაც (როგორც რესურსული პოტენციალი, შესაძლებელია მისი ჩართვა განვითარების სხვადასხვა მიმართულებებსა და პროგრამებში) ითვალისწინებს.

6.13 ურბანული გარემო

უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქებში, რამაც, მთელ რიგ მოთხოვნილებებთან ერთად, წინა პლანზე დააყენა რეკრეაციული მოთხოვნები.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ გულ-სისხლძარღვთა, ფილტვების, სიმსივნეების დაავადებები მკვეთრად კლებულობს იმ ადამიანებში, რომლებიც კარგად გამწვანებულ დასახლებებში ცხოვრობენ. ამ და მთელი რიგი სხვა პრობლემების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების ირგვლივ მწვანე ზონების არსებობას, რომელთა უპირველესი ფუნქციებია სანიტარულ-ჰიგიენური და დაცვითი, შემდეგ კი ესთეტიკური.

ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ მომენტში (თუნდაც ის იყოს დასვენება) დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების დაცვას, მისი რესურსების და მათ შორის რეკრეაციული რესურსების შენარჩუნებას. ამ მიზნით საქართველოში არსებობს ე.წ. დაცული ტერიტორიები, რომელთაც მიეკუთვნება ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები და ა.შ. ხოლო იმ ადგილებში, სადაც დაცული ტერიტორიების შექმნასთან ერთად გამიზნულია ტურიზმისა და საკურორტო-რეკრეაციული საქმიანობის განვითარებაც, ადგილობრივი ეკონომიკაც საგრძნობლად ისარგებლებს.

ტურიზმსა და რეკრეაციას ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი შემოსავლის მოტანა შეუძლია, ხოლო ლოკალურად იგი ხელს შეუწყობს მომგებიანი მცირე ბიზნესის განვითარებას (საოჯახო სასტუმროები, კაფე-რესტორნები, სატრანსპორტო მომსახურება, სუვენირები, ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება და ა.შ.).

6.14 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს ტურიზმისა და საკურორტო რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნის აგრეთვე უნიკალური ისტორიულ-კულტურული რესურსების არსებობა. 12 ათასზე მეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, 150-მდე მუზეუმი და ა.შ. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აისახა მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში. საქართველოში გვხვდება ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთაც განეკუთვნება თრიალეთის სამთავროს, სამგორის ყორღანები, აფხაზეთის დოლმენები; IV-III საუკუნეებით თარიღდება ძველი დედაქალაქის მცხეთის აკროპოლი და ვანის ნაქალაქევი, უფლისციხის სადგომები; ასევე შემორჩენილია ადრექრისტიანული ტაძრები – ბოლნისის სიონი (V ს.), ნინოწმინდა (VI ს.), ჯვარი მცხეთაში (VI ს.), ანჩისხატი თბილისში (VI ს.); ძალზე თვალწარმტაცია X-XII საუკუნეების ტაძრები და ეკლესიები: ალავერდი, სვეტიცხოველი, გელათი, სამთავისი, ნიკორწმინდა. შემორჩენილია გრანდიოზული, კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. XIV-XVIII საუკუნეების ციხეები (გრემი, ხერთვისი), ტაძრები, მონასტრები, ხიდები, სასახლეები და სხვა ნაგებობები.

განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული ძეგლებით ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო და ქუთაისის შემოგარენი. დღესდღეობით ბევრი ისტორიული ძეგლი რესტავრაციას საჭიროებს. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების, კუთხეების

ეთნოგრაფიული თავისებურებები. ხალხური არქიტექტურისა და ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლებია მთის სოფლები – შატილი და უშგული.

საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, ამას დამატებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიუხვე, ყოველივე ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვთქვათ – საქართველოს შეუძლია მსოფლიო ტურიზმის და ამასთან ჯანმრთელობის მძლავრი ცენტრი გახდეს.

შემოწმება (საკონტროლო გვერდი)

განვლილი მასალის გამეორება

1. როგორია საქართველოს საკურორტო ზონებისა და რაიონების გეოგრაფია?
2. როგორია საქართველოს საკურორტო ზონების (აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ საქართველო) ძირითადი რეკრეაციული „სპეციალიზაცია“?
3. რამდენად არის გამოყენებული საქართველოს საკურორტო ზონების რეკრეაციული შესაძლებლობები?
4. ჰიდრო-მინერალური რესურსების რა პოტენციალს ფლობს საქართველო, როგორია მათი ათვისების დღეგანდელი მდგომარეობა და პერსპექტიული შესაძლებლობები?
5. როგორ ხედავთ შავი ზღვის რეკრეაციული პოტენციალის განვითარების შესაძლებლობებს?
6. საქართველოს ტყის საფარი - მისი რეკრეაციულ-ტურისტული პოტენციალი და განვითარების შესაძლებლობები?

<u>შემოხაზე სწორი პასუხი:</u>

ა. საქართველოს უგრძესი მდინარეა:
- ალაზანი
- რიონი
- მტკვარი

ბ. მინერალური წყლები გვხვდება:
- ბორჯომში, უწერაში, მენჯში;
- საირმეში, ფოთში, თბილისში;
- ლენტეხში, შოვში, ზვარეში.

გ. აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს შემდეგი ნაკრძალები:
- თუშეთის, ვაშლოვანის, კინტრიშის;
- აჯამეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის;
- ლიახვის, საგურამოს, მარიამჯვრის.

დ. საქართველოს ყველაზე დიდი ტბებია:
- პალიასტომი, რიწა, ბაზალეთი, ამტყელი, ხოზაფინი;
- ფარავანი, პალიასტომი, რიწა, სადამო, ტაბაწყური;
- ფარავანი, პალიასტომი, ბებერისი, ჯანდარი, კუმისი;

<u>დააწყვილე აზრობრივი „პარტნიორები“</u>

შემოწმება (საკონტროლო გვერდი)

სიტუაციის ანალიზი

სიტუაცია: თქვენს წინაშეა ექსპერტების (დავუშვათ უცხოელი - დღეს პოპულარულია) დასკვნა იმის შესახებ, რომ სამხრეთ საქართველოს ბუნებრივი რესურსები არასაკმარისია ამ მხარეში „ტურისტულ-რეკრეაციული სტრატეგიის" განვითარებისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია თქვენი შეფასებაც:

საკონტროლო კითხვები (თანმიმდევრობა):

1. *რა ბუნებრივი კომპონენტების გათვალისწინება ხდება (ზოგადად) იმ შემთხვევაში, როდესაც აყალიბებენ ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების სტრატეგიას?*
2. *რეკრეაციული რესურსების ოპტიმალური გამოყენების რომელ ახალ ფორმებსა და მეთოდებს იცნობთ (როგორია საერთაშორისო პრაქტიკა)?*
3. *რა მიზეზების გამო შეიძლებოდა გაკეთებულიყო დასკვნა რეგიონის „არაპერსპექ-ტიულობის" შესახებ (ნეგატიური პარამეტრები/პოზიციები);*
4. *როგორ გესახებათ არსებული „ნეგატივების" „პოზიტივებად" გარდაქმნის შესაძლებლობები და პერსპექტივები?*
5. *შეძლებდით თუ არა ექსპერტების დასკვნის გაბათილებას და როგორ ჩამოაყალიბებდით თქვენს ხედვას სამხრეთ საქართველოს „ტურისტულ-რეკრეაციულ სტრატეგიასთან" დაკავშირებით?*

საპროექტო დავალება

ვირტუალური სიტუაცია: თქვენ, როგორც დარგის განვითარებით დაინტერესებულმა ბიზნესმენმა, უნდა შეიმუშაოთ სპეციალური გეგმა (ბიზნეს-გეგმა) კონკრეტული რაიონის (ადიგენი, ამბროლაური, ახმეტა, ბორჯომი, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ნინოწმინდა, ონი, ოზურგეთი, ხელვაჩაური) რეკრეაციული რესურსების ეტაპობრივი ათვისების (ამოქმედების) მიზნით.

შეასრულე ამოცანა ლოგიკური თანმიმდევრობით:

1. *შეადგინე რაიონის რესურსული პოტენციალის „პასპორტი" (სრული ნუსხა);*
2. *მოამზადე რაიონის ტურისტულ-რეკრეაციული შესაძლებლობების ანალიზი (SWOT);*
3. *საერთაშორისო ბაზრის (უახლოესი სამეზობლო, საგარაუდო ვიზიტორები) მოთხოვ-ნათა შესაბამისად ჩამოაყალიბეთ შესაძლებლობათა პრიორიტეტულობის სქემა;*
4. *მოამზადეთ პირველი სამი პრიორიტეტის ოპტიმალური ამოქმედების გეგმა (რა*

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მეტრეველი – ტურიზმი, 2003;
2. მ. მეტრეველი – ტურიზმი და გარემოს დაცვა, 2004;
3. მ. მეტრეველი – ტურისტულ ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, 2006;
4. ვ. შუბლაძე – საქართველო და ტურიზმი, 2004;
5. საქართველოს საკანონმდებლო აქტები, №2, 1999;
6. საქართველოს კურორტები, თბილისი 1987;
7. „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ - გაერო, რიო დე ჟანეირო, 3-14 ივნისი, 1992;
8. „მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში“ - თბილისი, 2002;
9. „საქართველოს მაღალმთიანეთში განსახლების სისტემის მდგრადობის ხელშემწყობი კონცეპტუალური მიმართულებები“ - 2004;
10. „საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო პროგრამა“ – 2004;
11. „სტრატეგიული რჩევები საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის“ - TACIS, 2000;
12. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია“ - TACIS, 2001;
13. ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში – TACIS, 2001;
14. ტურიზმის პროდუქტის ანალიზი საქართველოში – TACIS, 2001;
15. საქართველოს ადგოლობრივი კურორტების განვითარების გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები, 1989;
16. ი. გაბუნია – საქართველოს რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) რაიონები, 2005;
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1981;
18. საქართველოს სსრ კურორტები და საკურორტო რესურსები (ატლასი), 1989;
19. ქალაქების მდგრადი განვითარება („ადგილობრივი დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“), 2003;

20. როგორ შევიმუშაოთ სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა – NDI, USAID, 2003;
21. ჯ. ლ. გორდონი – სტარტეგიული დაგეგმვა ადგილობრივი მმართველობისათვის – GIPA, 2003
22. Илина Е. – Туроперейтинг, 2000, «Финансы и статистика»;
23. Квартальнов В. – Туризм, 2000;
24. В. Г. Федцов – Культура сервиса, Москва, 2000;
25. Г. Харрис, К. М. Кац – Стимулирование международного туризма в XXI веке, Москва, 2000;
26. Г. А. Папирян – Маркетинг в туризме, Москва, 2000;
27. В. А. Квартальнов – Туризм как объект управления, Москва, 2004;
28. С. Медлик – Гостиничный бизнес, Москва, 2005;
29. Доверительное управление (культурным и природным наследием), Москва, 2005;
30. ЮНЕСКО – Инновационная политика в сфере сохранения культурного наследия и развития культурно-познавательного туризма, Москва, 2005;
31. Устойчивое развитие туризма: Пособие для специалистов по местному планированию. ВТО, 1993.
32. Основные итоги Всемирного Саммита по устойчивому развитию – Иоханнесбург, 2002;
33. Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism; WTO, 1998
34. Mountains of the World – Mountain Agenda 2002 – CDE, IGUB, Switzerland;
35. Tourism Market Trends: Europe-2000 Edition, WTO, 2000;
36. Tourism Highlights 2001, WTO, 2001;
37. James M. Pointer – Tour Design, Marketing, and Management –New Jersey, 1993;
38. Charles R. Goeldner, J.R. Brent Ritchie, Robert W. McIntosh – Tourism; Principles, Practices, Philosophies; 2000.
39. J.R.Brant Ritchie, Charles R. Goeldner – Travel, Tourism, and Hospitality Research – NY, 1987;